საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლდვეტი სიფცეკვაა, ფცეილებით და ჭიტებით ბუტთის გაფანა ყველა უკარტისიბაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 24-25 აგვისტო. 2022 წ. №125-126 (9463-9464) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

რას ფიქრობს პუტინი საქართველოზე?!

„რუსეთს გონებით ვერ განსჯი“... 8

დიმიტრი მედვედევი:

„1801 წლამდე ქვეყანა „საქართველო“ არ არსებობდა“, რომ ის „მხოლოდ რუსეთის იმპერიის ფარგლებში გაჩნდა“ და რომ „ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი და საქართველოს ამჟამინდელი ტერიტორია მხოლოდ რუსეთთან ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში შეიძლება, გაერთიანდნენ“.

გამოუსწორებელი აგრესორის სიცრუე და სიბილწე

რუსეთი აფხაზეთის შთანთქმის გეგმას ახორციელებს... 3

სოზარ სუბარი: ამერიკის ელჩი დღესაც ყველაფერს აკეთებს, რათა „ნაციონალური მოძრაობა“ მოიყვანოს ხელისუფლებაში!



იხ. 4-5 გვ.



როცა კაპიტოლიუმში შეჭრა უმძიმესი დანაშაულია, ხოლო საქართველოს პარლამენტში შეჭრის მცდელობას და პოლიციელებზე თავდასხმებს დემოკრატიული პროცესის ნაწილად მიიჩნევ, საღაური სამართალია?!

„ღირსეული პარტნიორი“

საქართველო მრავალეროვნულ სწავლებას მასპინძლობს

სწავლების შესახებ პრეზენტაცია თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდალმა — „ღირსეული პარტნიორი 2022“-ის ხელმძღვანელმა, ბრიგადის გენერალმა როლანდ ძნელაძემ წარადგინა. მან სწავლების მიზანსა და ამოცანებზე ისაუბრა და საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის მრავალეროვნულ სწავლებებში მონაწილეობის მნიშვნელობასა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე გაამახვილა ყურადღება.

ბრიფინგზე დასასწრებად არმიჰოლში თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი, მისი მოადგილეები, თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, სწავლებაში მონაწილე ქვეყნების თავდაცვის ატაშეები და ნატოს ძირითადი ჯგუფის უცხოელი ექსპერტები შეიკრიბნენ.

„ღირსეული პარტნიორი 2022“-ის მიზანია საქართველოს, აშშ-ის, რეგიონულ პარტნიორებსა და მოკავშირე ქვეყნებს შორის მზადყოფნისა და ურთიერთთავსებადობის გაზრდა შავი ზღვის რეგიონში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისთვის.

სწავლების ისტორიაში წელს პირველად მიიღებენ მონაწილეობას იაპონიისა და შვედეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები. მრავალეროვნულ სწავლებაში 2400-ზე მეტი სამხედროა ჩართული. წლევანდელი მრავალეროვნული წვრთნების მონაწილეები არიან: საქართველო, აშშ, ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდოვა, საბერძნეთი, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, სლოვაკეთი, ნორვეგია, უნგრეთი, ლიეტუვა, აზერბაიჯანი, გერმანია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ესტონეთი, პოლონეთი, იაპონია, ლიეტუვა-პოლონეთი-უკრაინის მრავალეროვნული ბრიგადა და შვედეთის შეიარაღებული ძალები.

6

ნუგზარ შოშიაშვილი 75

ქმობისა და მეგობრობის ალამდარი

კვირეული გაპროტესტებული საბჭოთა ოკუპაციის

მეგრელ ქალთა ამბოხი ჭოლაში

იხ. 7 გვ.

„ჯოლოქოვი დაიშალა, ვენაცვალე სტალინსაო“...

ირაკლი ღარიბაშვილი პატრიარქს შეხვდა

მთავრობის მეთაური კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს გუშინ შეხვდა.

— შევხვდი კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს. დიდი პატივია და ყოველთვის სასიხარულოა მისი უწმინდესობის ნახვა. უაღრესად საინტერესოა მასთან საუბარი სხვადასხვა საკითხზე, ქვეყანაში არსებულ ვითარებასა თუ რეგიონში და მთლიანად მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. ჯანმრთელობას, მხნეობას და დღეგრძელობას ვუსურვებ ჩვენს პატრიარქს! — თქვა შეხვედრის შემდეგ პრემიერმა.

ირაკლი კობახიძე: ქვეყანაში მშვიდობას და ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას შევინარჩუნებთ!

ერთადერთი, რაზეც რადიკალურ ოპოზიციას თვალი უჭირავს არის ის, რომ როგორმე ქვეყანაში არეულობა მოაწყოს!

„რევოლუციურ სცენარებზე საუბრობენ, გახსოვთ ზურაბ ჯაფარიძის, პეტრე ცისკარიშვილის განცხადებები. ერთადერთი, რაზეც თვალი უჭირავთ, ეს არის, ის რომ როგორმე ქვეყანაში არეულობა მოაწყონ და მასაც ერთი მიზანი აქვს — ქვეყანა ჩართონ იმ ომში, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, უკრაინაში წარიმართება. ამის არავითარი რესურსი არ არსებობს, ხელისუფლება დგას თავის ადგილზე და ყველაფერი გაკეთდება, რომ ქვეყანაში შევინარჩუნოთ მშვიდობა, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა“, — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

სალომე ზურაბიშვილი „ყირიმის პლატფორმის“ მეორე სამიტში იღებს მონაწილეობას

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი „ყირიმის პლატფორმის“ მეორე სამიტში მონაწილეობს, რომელიც უკრაინის პრეზიდენტის ინიციატივით შეიქმნა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სამიტი ონლაინ-ფორმატში ჩატარდა და მიზნად ისახავდა ყირიმის მიმდინარე ოკუპაციაზე საერთაშორისო რეაგირების ეფექტიანობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოების მზარდ საფრთხეებზე რეაგირებას, კრემლზე საერთაშორისო ზეწოლის გაზრდას, ყირიმის დეოკუპაციისა და მისი უკრაინისთვის დაბრუნებას.

საქართველოს პრეზიდენტმა სიტყვით მიმართა სამიტის მონაწილეებს, მსოფლიო ლიდერებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

სემეკის ახალი რეგულაციები

ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში ახალი რეგულაციები ამოქმედდა. სიახლეების მიზანია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, — ამის შესახებ ინფორმაციას სემეკი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, დამტკიცდა წყალმომარაგების ქსელის განაშენიანების საფასურის გაანგარიშების წესი, რომელიც არეგულირებს სანიტარიული დაცვისა და განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებულ ზონაში ქსელზე მიერთების პროცედურებს. წესის მიხედვით, შესაბამისი წყალმომარაგების სისტემის მოწყობამდე იკრძალება ქსელზე ისეთი მიერთება, რომელსაც არსებული წყალმომარაგების სისტემა საპროექტო მონაცემებიდან გამომდინარე ვერ აკმაყოფილებს.

წყალმომარაგების სისტემის გაძლიერებისთვის, ქსელის მშენებლობას უზრუნველყოფს წყალმომარაგების ლიცენზიატი, დაინტერესებული პირის მიერ წყალმომარაგების ქსელის განაშენიანების საფასურის წინსწრებით გადახდის შემდეგ, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. აღნიშნული სიახლე, ძირითადად, ეხება დიდ პროექტებს რომელთა მიერ წყალმომარაგების ქსელზე მოთხოვნილი მისაერთებელი სიმძლავრის დასაკმაყოფილებლად საჭიროა არსებული წყალმომარაგების სისტემის გაძლიერება, რაც საფასურის დადგენის გარეშე ტვირთად დააწვებოდა სასმელი წყლის წყალმომარაგების ტარიფსა და მომხმარებლებს.

ახალი რეგულაცია ასევე ამოქმედდა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებთან მიმართებაშიც. კერძოდ, დაზუსტდა წყალმომარაგების კომპანიის ვალდებულება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან გამომავალი პირველი ჭის ჩათვლით წყალარინების ქსელის მოვლაზე, მის ფლობასა და ექსპლუატაციაზე, (აღნიშნული დაზუსტება არ ვრცელდება ისტორიულად ჩამოყალიბებული ე.წ. „თბილისური ეზოს“ კუთვნილ წყალარინების ქსელებზე).

ახალი წესით ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მომხმარებლის მიერ ტექნიკური ხარისხის ადგილზე შემოწმების განაცხადით მოთხოვნის შემთხვევაში, მომსახურე კომპანიის წარმომადგენელი ვალდებულია ოპერატიული რეაგირების საჭიროების დადგენის მიზნით, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მომხმარებელს.

ვიდრე ცისკარიშვილი ცრუობს, ნაცებს არაფერი ეშველებათ!

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს, რომ არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ „ქართული ოცნება“ კომპანია RMG Gold-ის სიმძლავრეებს იყენებს, რათა რუსი პარტნიორები მტკივნეულ ფინანსურ პრობლემებს აარიდონ.

ამ თემაზე პარტიის ოფისში ბრიფინგი გაიმართა. პეტრე ცისკარიშვილის თქმით, საფუძვლიანი ეჭვია, რომ ცდილობენ „სანქცირებული რუსული ოქრო საქართველოში მოპოვებულ ოქროდ გაასაღონ და ჩვენი ქვეყნის გავლით უკანონო რეექსპორტი მოახდინონ“. ცისკარიშვილმა კონკრეტულ ტენდერზე ისაუბრა, რომელიც მისი თქმით, კომპანია „ RMG გოლდზეა“ მორგებული.

„არ ავიწყდებათ მთავარი საქმე და მათი ერთადერთი საფიქრალი, კორუფცია და ქართველი ხალხის, ქართული სახელმწიფოს ხარჯზე მილიარდების კეთება. საქმე, რომელიც მათ ყველაზე კარგად გამოსდით, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ საქმეში ოლიგარქ ივანიშვილის ინტერესები დევს.

საუბარი გვაქვს ახალგამომცხვარ ტენდერზე, რომელიც ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში შვიდი სოფლის, ასობით ჰექტარი მიწის გადათხრა-გადერანებას, ჩვენი ბუნების დამახინჯებას, ეკოლოგიური ვითარების დამძიმებას გამოიწვევს. ამ ტენდერის ტექნიკური პირობები, პირდაპირ RMG გოლდზე, ანუ რუსების და ბიძინა ივანიშვილის, ბიძინა უჩას კომპანიაზეა მორგებული. ტენდერი გამოაცხადეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვებაზე და აქვე სიმბოლურად ჩადეს საინვესტიციო ვალდებულებები, ვინაიდან კარგად იციან, რომ არც არავინ დაითვლის განხორციელებული ინვესტიციის რაოდენობას, ხოლო ოქრო და სპილენძის მოპოვება-მოძიებაში გაღებული ხარჯები (...) RMG-ის მიერ გაფორმებული და გასაღებული იქნება ინვესტიციად“, — ამბობს ცისკარიშვილი.

მისი თქმით, ივანიშვილი ჩქარობს ქართული სახელმწიფოს ხარჯზე გაყინული ფინანსების ასანაზღაურებლად დამატებითი სახსრები მოიპოვოს. ცისკარიშვილის განცხადებით, საუბარია 700-800 მილიონ დოლარ შემოსავალზე.

პარტიის კიდევ ერთმა ლიდერმა, ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ აქვთ დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ სალიცენზიო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არის უამრავლი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და ეკლესიები, რომელსაც „რმჯ გოლდი“, სავარაუდოდ, გაანადგურებს.

„ისფედთან“ დაკავშირებით, აშშ-ის საელჩოს განცხადება, ჩვენთვისაც შოკისმომგვრელია

„ისფედთან“ დაკავშირებით, საელჩოს განცხადება, როგორც თავადვე უყვართ თქმა, ჩვენთვისაც შოკისმომგვრელია. „ისფედი“ აქტიურად იყო ჩართული „პივიტის“ გაყალბებაში, რაც უმძიმესი ფაქტი იყო“, — ასე გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განცხადებას „სამართლიან არჩევნებთან“ (ISFED) დაკავშირებით.

როგორც ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს პარტიის ოფისში გუშინ განუცხადა, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, „ისფედის“ ყალბი მონაცემები რადიკალური ოპოზიციისთვის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი გახდა.

„თქვენ გახსოვთ, რა როლი შეასრულა „პივიტის“ გაყალბებამ იმ პროცესებში, რომლებიც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წარიმართა. რადიკალური ოპოზიციისთვის, „პივიტის“ გაყალბება გახდა ერთ-ერთი მთავარი საყრდენი იმისთვის, რომ საბოტაჟი განეხორციელებინათ. პრაქტიკულად, „ისფედი“ პირდაპირი ფორმით იყო ჩართული იმ რევოლუციურ პროცესებში, რომლებსაც რადიკალური ოპოზიცია მართავდა. ამის შემდეგ, ჩვენ „ისფედს“ ვხედავთ პარლამენტის წინ აღმართულ სცენაზე, საიდანაც გაისმის პოლიტიკური მოთხოვნა მთავრობის გადადგომასთან და ე.წ. ტექნიკური მთავრობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ანუ, აქაც, „ისფედი“ რევოლუციური პროცესის უშუალო თანამონაწილედ მოგვევლინა. როდესაც ამ სრული ლუსტრაციის შემდეგ, საელჩო „ისფედს“ უწოდებს ერთ-ერთ ყველაზე სანდო ორგანიზაციას და გამოთქვამს სურვილს, რომ ის ჩაერთოს სამუშაო პროცესში, ეს ჩვენთვის, ბუნებრივია, გასაკვირია. მთელი რიგი ფაქტების გამო, საზოგადოება ისედაც გაურკვევლობაშია — ვერ ხვდება, როგორ შეიძლება, პოლიტიკურ პროცესებში, რადიკალურ პროცესებში ჩართული იყოს ამერიკული დაფინანსებით მოქმედი „ენჯეო“. როდესაც ამას ემატება აშშ-ის საელჩოს ასეთი ტიპის განცხადებები, ბუნებრივია, ეს საზოგადოებაში გაურკვევლობის ხარისხს კიდევ უფრო ზრდის“.

19 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ გააკრცელა განცხადება, რომელშიც საელჩო „ისფედს“ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სანდო და გამოცდილ საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციად მოიხსენიებს. საელჩოს პოზიციის თანახმად, ამ ორგანიზაციის „საარჩევნო რეფორმების პარლამენტის სამუშაო ჯგუფში არდაშვება პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროკომისიის რეკომენდაციას“.

ოპოზიცია აბსოლუტურად ურესურსო და სრულიად განულებულია!

ოპოზიცია აბსოლუტურად ურესურსოა. სრულიად განულებულია და ამას ერთი მიზეზი აქვს — საზოგადოებამ დაინახა მათი რეალური ზრახვები და სახე, ასევე მათი დამოკიდებულება ომთან მიმართებით...

„საზოგადოება ხედავს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი განშტოებებითა და სატელიტებით არის „ომის პარტია“ და ომთან ერთად „ღალატის პარტია“. ასეთ პოლიტიკურ ძალას ხალხი არ გაჰყვება. მათ არც შემოდგომაზე, არც ზამთარსა და გაზაფხულზე არავითარი რესურსი არ აქვთ, რომ პოლიტიკურ პროცესებში არეულობა შემოიტანონ“, — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.



რუსეთი აფხაზეთის შთანთქმის გეგმას ახორციელებს...

მოსკოვმა ასლან ბჟანიას გუნდთან სრულ ურთიერთგაგებას მიაღწია, — სადღეისოდ ეს უკვე შემდგარი ფაქტია. ბოლო დროს მათი ურთიერთობა გადაზრდილია ჭეშმარიტად ურთიერთსასარებლო თანამშრომლობაში, რომელიც, როგორც თავად ბჟანია ამბობს, ნდობასა და მეგობრობას ემყარება. მაგრამ არსებობს ის, რასაც პრეზიდენტი არ ამბობს, — რომ ეს არის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა არა რუსეთსა და აფხაზეთს, არამედ მოსკოვსა და პირადად მას შორის — ფორმულით „დამკვეთი — შემსრულებელი“. და ეს უკვე ყოველ ნაბიჯზე ვლინდება, სრულიად განსხვავებულ საკითხებში, რომელთა შორის ერთ-ერთი, არც მეტი, არც ნაკლები, სახელმწიფო საზღვრის გაუქმებაა.

ვერ მოასწრო მთელი ცივილიზებული მსოფლიოდან განდევნილი პროპაგანდისტული RT-ს მთავარმა რედაქტორმა მარგარიტა სიმონიანმა, მარტში სოხუმში ვიზიტისას ამ **„სამარცხვინო, რუსეთის მოძალადეების ღირსების შემლახველი“** საკონტროლო-გამშვები პუნქტის გაუქმების სურვილი გამოეთქვა — და ასლან ბჟანია სასწრაფოდ შეუდგა აფხაზეთში საკითხის ლობირებას. ოღონდ სახელმწიფო საზღვრის ფაქტობრივ გაუქმებას იგი **„მიმოსვლის გამარტივებად“** ასაღებს და ხაზს უსვამს, რომ ეს უკანასკნელი 2014 წლის სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებითაა გათვალისწინებული, — აქაოდა, **„ჩემს წინამორბედებს მოუკითხეთ, ყველაფერი ჩემამდე ბევრად ადრე გადაწყდაო“**.

არადა, სოცქსელში სიმონიანის მეგობრებიც კი მაშინვე მიხვდნენ, რომ მის მიერ მარტში გამოთქმული „სურვილი“ სხვას არაფერს წარმოადგენდა, თუ არა მინიშნებას იმაზე, რომ აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში გაერთიანდეს. „როდის მოდიან, სამხრეთ ოსეთის მსგავსად, რუსეთის შემადგენლობაში? ახლა ხომ საამისოდ საუკეთესო მომენტია“; „ეგერ, ოსეთს უკვე სურს ჩვენთან გაერთიანება და კარგი იქნება, აფხაზებმაც მიბაძონ“; „ვფიქრობ, მალე აფხაზეთიც შეგვეხვეწება ძლიერ მეზობელს მის შეფარებას. უარს ნამდვილად არ ვიტყვით“, — წერდნენ სიმონიანის პუბლიკაციის ქვეშ კომენტარები. ხოლო რუსეთის საგარეო უწყებასთან ერთობლივი მედიაცენტრი, რომლის გასახსნელადაც იყო კრემლის პროპაგანდისტი მარტში სოხუმში ჩასული, სწორედ იმისთვის ჩამოყალიბდა, რომ ხელი შეუწყოს მოსკოვი-ბჟანიას ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას მოსახლეობის ტვინის ეფექტურ რეცხვაში, რათა რუსეთის ამ და სხვა დაკვეთების აღსრულებას დაბრკოლებები არ შეექმნას.

სიმონიანის მარტის მინიშნებით გამოწვეული ეჭვები მხოლოდ გამძაფრდა მაისის ბოლოს, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის საქმეთა, ევრაზიული ინტეგრაციისა და თანამემამულეებთან კავშირების კომიტეტის სხდომის შემდეგ. „დავაყენეთ ფსოუზე საზღვრო გადასასვლელის ლიკვიდაციის საკითხი, იმის მსგავსად, როგორც ეს ბელარუსთან განხორციელდა“ — აცნობა მაშინ ჟურნალისტებს აფხაზური დელეგაციის წევრთა მდუმარე თანხმობის პირობებში კომიტეტის ხელმძღვანელმა ლეონიდ კალაშნიკოვმა. ამგვარად ფაქტობრივად გამოცხადდა აფხაზეთის სტატუსის შეცვლა, — სახელმწიფო საზღვრის ლიკვიდაციის საკითხის განხილვის ფაქტს ხომ სხვაგვარად ვერ შეაფასებ.

ხოლო „მოქალაქეთა კომფორტზე ზრუნვის“ თვალთმაქცური საწებელი აქ ნამდვილად ვერ გადაფარავს რუსეთის ხელისუფლების ანექსიური გეგმების მწარე გემოს. დიახ, თითქოსდა ჩატარებული რეკონსტრუქციის მიუხედავად, საკონტროლო-გამშვები პუნქტი “ფსოუ“ კვლავინდებურად „იხრჩობა“, განსაკუთრებით ზაფხულში. მაგრამ რუსულ მხარეს რომ რეალურად ანაღვლებდეს საკუთარი მოქალაქეების კომფორტის უზრუნველყოფა, დიდი ხნის წინ გამოიყენებდა ახალ ტექოლოგიებს — ინტერნეტ-სისტემებს, ელექტრონულ რესურსებს და ა.შ. — და სასაზღვრო შემოწმებების დრო მყისიერად შემცირდებოდა. გარდა ამისა, ამჟამინდელ პირობებშიც კი დაბრკოლებები და შეფერხებები რუსულ მხარეზე იქმნება და არა აფხაზურზე, განსაკუთრებით კომერციული ტვირთების გადაადგილებისას. ამასთან დაკავშირებით აფხაზების ჩივილს რუსეთი წლების განმავლობაში იგნორირებდა, ის კი არა და პირდაპირ ვთქვათ, ათასგვარი ახალ-ახალი საბაბით წლობით ურთულებდა აფხაზ მეწარმეებს ყოფას — როგორც ჩანს, “მოქალაქეების კომფორტზე ზრუნვის“ გამო.

რაც შეეხება ასლან ბჟანიას, ჩვენი პრეზიდენტი რომ რეალურად ზრუნავდეს მოძალადეებზე, თან არა მარტო რუსეთისაზე, არამედ უპირველესად საკუთარ მოსახლეობაზე (რომლის მიერ რუსეთის მოძალადეობის მასობრივად ფლობას იგი ბოლო დროს საეჭვოდ ხშირად უსვამს ხაზს), მაშინ არ დაივიწყებდა მეორე მიმართულებას, რომელზეც აფხაზეთს ასევე გააჩნია საზელმწიფო საზღვარი — ენგურს. აძ პრობლემის გადაჭრა, სხვათა შორის, დიდ სარგებელს მოიტანდა არა მარტო მოძალადეთა კომფორტის კუთხით: ადამიანებისა და ტვირთების გადაადგილების, ასევე მომსახურების გამარტივება აფხაზეთს საკუთარი ეკონომიკის დამოუკიდებლად განვითარების ნანატრ დაწყებაში, დროთა განმავლობაში კი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში და რაც მთავარია, რუსეთზე სრული დამოკიდებულებისგან გათავისუფლებაში დაეხმარებოდა. მაგრამ არა, ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყების ყველა მცდელობა ძირშივე იბლოკება.

იხ. 11 გვ.

ლევან დავითაშვილი: ყაზახეთიდან ტვირთის ნაკადი გაიზრდება!

საძართველოს მთავრობა და კერძოდ, ეკონომიკის სამინისტრო ინტენსიურად მუშაობს ყაზახეთიდან საქართველოს გავლით დამატებითი ტრანზიტული ნაკადების ე.წ. შუა კორიდორში, ანუ ტრანსკასპიურ დერეფანში მოზიდვის საკითხზე, — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა მთავრობის სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ვრცლად ისაუბრა. ლევან დავითაშვილის განცხადებით, ამ პროცესის პირველი ძალიან მკაფიო მაგალითი იყო პრემიერ-მინისტრის და საქართველოს მთავრობის მაღალი დონის სახელმწიფო ვიზიტები შუა აზიის ქვეყნებში.

„უმაღლესი დონის შეხვედრები გვქონდა როგორც თურქმენეთის, უზბეკეთის, ისე ყაზახეთის ხელმძღვანელობასთან. ჩვენ ვიხილავდით ზუსტად ამ საკითხებს — როდესაც საუბარია მინერალური რესურსებით მდიდარი ქვეყნების საქართველოს დერეფნით მეტად დაინტერესებაზე. ამაზე ძალიან კონკრეტული მოლაპარაკებები შედგა უზბეკეთში, თურქმენეთში და მათ შორის ყაზახეთშიც. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ ვიზიტებამდეც გვქონდა მუშა პროცესი, არაერთი დელეგაცია იყო ჩამოსული საქართველოში და ასევე ქართული დელეგაციების ვიზიტი ყაზახეთში და შუა აზიის სხვა ქვეყნებში — რომ ტექნიკურ დონეზე გაგვევლო ბევრი საკითხი“, — აღნიშნა ვიცე-პრემიერმა.

ლევან დავითაშვილის ინფორმაციით, სწორედ ამ სამუშაო პროცესის ნაწილია დღეს თბილისში დაგეგმილი ტრანსპორტის მინისტერიალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თურქეთის და აზერბაიჯანის მინისტრები. ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, შეხვედრაზე საუბარი შეეხება ამ სატრანზიტო შესაძლებლობების, შუა დერეფნის კონკურენტუნარიანობის გაზრდის საკითხებს. თუმცა, მისი განმარტებით, პროცესი ძალიან ბევრ ნიუანსს მოიცავს, რომლებზეც მხარეები აქტიურად მუშაობენ.

„საუბარია ამ სატრანზიტო შესაძლებლობების, შუა დერეფნის კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე იმისთვის, რომ ჩვენ არათუ მოვიზიდოთ ახალი ტვირთები, მათ შორის ნავთობი და ნავთობპროდუქტები, არამედ დიდი ხანი მოვახერხოთ ჩვენს დერეფანში ამ ტვირთების დამაგრება ისევ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე. ძალიან პოზიტიური მოლოდინები გვაქვს, თუმცა, ეს ერთ დღეში ალბათ ვერ მოხერხდება, ძალიან ბევრი ნიუანსია — საუბარი არ არის მხოლოდ ერთი ტიპის გადაზიდვებზე, ერთი ტიპის პროდუქტზე, ასევე არსებობს უფრო ხანგრძლივი საშუალოვადიანი შეთანხმებები.

როდესაც სახელმწიფოები საუბრობენ, არის ძალიან ბევრი კერძო კომპანია, რომელიც ჩართულია გადაწყვეტილებების მიღებაში, მათ შორის ნავთობპროდუქტების უშუალო მესაკუთრეები ხშირ შემთხვევაში არიან საერთაშორისო კონსორციუმები, საერთაშორისო ნავთობკომპანიები შუა აზიაში, რომელთა გადაწყვეტილებები ასევე მნიშვნელოვანია. ჩვენ სხვადასხვა ეკონომიკურ ფორუმზე პრემიერ-მინისტრთან ერთად ამ კომპანიებთან გვქონდა ცალკე, დამატებითი კომუნიკაცია და საუბარი“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, ამ საკითხებთან დაკავშირებით მუშა პროცესი ისეთი ინტენსივობით მიმდინარეობს, როგორც არასდროს აქამდე. მისივე შეფასებით, შესაძლებლობები საკმაოდ დიდია, თუმცა, ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სინქრონში იმუშავებენ დერეფნის მონაწილე ქვეყნები ერთმანეთთან და როგორი გამართული იქნება ერთი მხრივ ინფრასტრუქტურა და მეორე მხრივ მომსახურებები.

„ასე რომ, ეს პროცესი მიმდინარეობს. კი, ვადასტურებთ რომ, რა თქმა უნდა, ჩვენ გავზრდით ნაკადს. მოლოდინი გვაქვს, რომ მომავალი წლიდან ამ მიმართულებით უფრო მეტი კონკრეტიკა იქნება — სამუშაო პროცესი დროს მოითხოვს და ეს წელი ამას დასჭირდება“, — აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

საბერძნეთში აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისთვის საერთაშორისო ბანაკი დაიხურა

საბერძნეთის ქალაქ როდოსში საერთაშორისო ბანაკი დაიხურა, რომელშიც აფხაზეთიდან დევნილი და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები 12-დან 14-წლამდე მოზარდები მონაწილეობდნენ.

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ანზორ მარგიანი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი დავით ფაცაცია დაესწრნენ რომლებმაც ბანაკის ყველა მონაწილეს სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

ბანაკი საბერძნეთში, კუნძულ როდოსზე 40-მდე მოზარდისთვის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტოს, სულიერების ცენტრისა და როდოსის მიტროპოლიის ერთობლივი ორგანიზებით განხორციელდა. პროექტის მიზანს, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები და აფხაზეთიდან დევნილი მოზარდების ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად გაღრმავება წარმოადგენდა. ბანაკში მოზარდებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გასცნობოდნენ ბერძნულ კულტურასა და ტრადიციებს, შეეძინათ და განევითარებინათ საკომუნიკაციო და სხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები.

„ხალხის ძალა“ არ ხუმრობს!

სოზარ სუბარი: ამერიკის ელჩი დღესაც ყველაფერს აკეთებს, რათა „ნაციონალური მოძრაობა“ მოიყვანოს ხელისუფლებაში!

— ბატონო სოზარ, ძალიან ხმაურიანია თქვენი ბოლოდროინდელი განცხადებები, რომლის სამიზნე არის აშშ-ის ელჩი. კიდევ უნდა ველოდოთ მორიგ განცხადებებს და უკვე ფაქტებსაც, რომელიც ადასტურებს ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ელჩის ჩართულობას?

სოზარ სუბარი: არავითარი სამიზნე არ გვყავს, ჩვენი ყველა განცხადების მიზანი სამშობლოსთვის სერიოზული საფრთხის თავიდან აცილებაა. ბუნებრივია, სასურველი იყო, ამის თქმა არ დაგვჭირვებოდა, მაგრამ იძულებული გავხდით ბევრი რამ, რაც პოლიტიკის კულუარებში ხდებოდა, გამოგვეტანა ხალხის სამსჯავროზე. რა თქმა უნდა, გაცილებით მეტია ის ინფორმაცია, რისი თქმისგანაც ჯერჯერობით თავს ვიკავებთ. ჩვენს განცხადებებს ერთადერთი მიზანი ჰქონდა — მოგვეხდინა შესაძლო საფრთხეების პრევენცია და შეგვესუსტებინა ის ზეწოლა, რომლის მიზანი საქართველოს ომში ჩართვაა. ომში ჩართვა არის ყველაზე დიდი საფრთხე, რაც დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას და სწორედ ამიტომ დავიწყეთ პოლიტიკური კულუარების საჯაროდ გამოტანა, დავიწყეთ ეტაპობრივად და ძალიან დოზირებულად. თავდაპირველად, უბრალოდ, კითხვები დავსვით და როცა ამ, სრულიად ლეგიტიმურ და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხები ვერ მივიღეთ, მეტიც, პასუხების ნაცვლად შეურაცხმყოფელი განცხადებები მოვისმინეთ, მხოლოდ შემდეგ დავიწყეთ უფრო მეტი ინფორმაციის გავრცელება.

— ამ კითხვების უკან დგას კონკრეტული ინფორმაციები?

— ბუნებრივია. ყველანი ვიყავით მმართველი გუნდის წევრები და მაღალი პოლიტიკური თანამდებობები გვეკავა. შესაბამისად, ზუსტად ვიცოდით, რამდენი მცდელობა იყო ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის — არჩევნების შედეგებზე ზეგავლენის მოხდენის, დამნაშავეთა ციხიდან გათავისუფლების, სასამართლო ხელისუფლების მიტაცების და ა.შ. ჩვენ, გუნდთან ერთად, ვეწინააღმდეგებოდით ამ მცდელობებს, თუმცა, ბევრ დათმობაზეც გვიწევდა წასვლა, რადგან სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობა და მათი მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, როდესაც დაიწყო აშკარა მცდელობა, რომ საქართველო რუსეთ-უკრაინის ომში ჩართულიყო, ეს იყო ბოლო წვეთი, როცა დუმილი უკვე აღარ შეიძლებოდა. ერთადერთი ძალა, რომელსაც ამ საფრთხეების თავიდან აცილება შეუძლია, ხალხის ინფორმირებაა. ხალხმა უნდა იცოდეს, რა ხდება და შემდეგ ხალხი თვითონ მიიღებს სწორ გადაწყვეტილებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან ადვილია საზოგადოების ემოციებზე თამაში. როცა ყოველდღე პირდაპირ ეთერში ვხედავ, როგორ იბომბება უკრაინის ქალაქები და სოფლები, როგორ კვდებიან უდანაშაულო ქალები და ბავშვები, როცა კარგად გვახსოვს, ბოლო 30 წლის განმავლობაში იგივე ტრაგედია რამდენჯერ დატრიალდა ჩვენს სამშობლოში, კიდევ გავიმეორებ — ადვილია, ხალხის გულწრფელი ემოცია და თანაგრძნობა შენთვის სასურველ კალაპოტში წარმართო. ადვილია, ხალხს უთხრა — ხელისუფლება არაფერს აკეთებს, რომ გვერდით დაუდგეს მოძმე უკრაინელ ხალხს და ამიტომ უნდა შევცვალოთ ხელისუფლება.

თუმცა, ხალხი მალე მიხვდა, რომ ემოციებზე ამგვარი თამაშის მიზანი ქვეყნის ომში ჩართვა იყო და ყველამ კარგად იცის, თუნდაც ჩვენი ბოლო ათწლეულების გამოცდილებით, რამდენად დამღუპველი იქნება ომის დაწყება საქართველოსთვის. შესაბამისად, მოხდა პირიქით — გაიზარდა ხალხის მხარდაჭერა ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ. ამის შემდეგ დაიწყო შემოვლითი გზით საქართველოს ომში ჩათრევის პერმანენტული მცდელობები, მაგალითად: მივცეთ უფლება თვითმფრინავს, დაჯდეს თბილისის აეროპორტში და წაიყვანოს მოხალისეები უკრაინის ომში; ან — გადაეცეს უკრაინას სამხედრო ტექნიკა, მაგალითად სამხედრო თვითმფრინავები და ა.შ. და ა.შ. როცა ამგვარმა მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო, საქმეში ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებაც კი ჩართეს და ამით სცადეს ხელისუფლების მიმართ ხალხის უკმაყოფილების გამოწვევა.

სწორედ ამ საფრთხეების გამო მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, თორემ წლების განმავლობაში საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევის ბევრი მცდელობა გვინახავს და ბევრი ისეთი ზეწოლა მოგვითმენია, რაც პირდაპირ ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვას ნიშნავდა. ბუნებრივია, ეს მცდელობები ყოველთვის წარმატებული არ იყო, მაგრამ ყოველთვის თავს ვიკავებდით მათი გახმაურებისგან და ჩვენი პარტნიორების უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებისგან.

— შეგიძლიათ დააკონკრეტოთ, რას გულისხმობთ?

— მაგალითად, იყო პირდაპირი ზეწოლა, რის გამოც ხელისუფლება იძულებული გახდა, ციხიდან გამოეშვა ადამიანები, რომლებსაც სასამართლოს მიერ მისჯილი ჰქონდათ სასჯელი. ყველამ კარგად იცოდა, რომ ამ ადამიანებს დანაშაული ნამდვილად ჰქონდათ ჩადენილი და ყველამ იცოდა, რომ განაჩენი სამართლიანი სასამართლოს პირობებში იყო გამოტანილი, თუმცა ხელისუფლება მაინც იძულებული გახადეს, მიეღო აბსოლუტურად უსამართლო პოლიტიკური გადაწყვეტილება და დამნაშავეები ციხიდან გამოეშვა.

— აშშ-ის ელჩის ჩარევის საფუძველზე გამოუშვეს უმძიმეს საქმეზე ბრალდებულები — გიგი უგულავა და ირაკლი ოქრუაშვილი? სხვათა შორის, ოქრუაშვილი დღემდე აგრძელებს პროვოკაციულ განცხადებებს, როდესაც ადამიანებს მოუწოდებს რუს ტურისტებს უნდა ესროლონ მოლოტოვის კოქტეილი...

— დიახ, თუმცა არც ევროკავშირის ელჩი იჯდა გულხელდაკრეფილი. სხვათა შორის, ძალბატონმა კელი დეგნანმა საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ თავისი ხედვა მკაფიოდ გათქვა, როცა 17 აგვისტოს გაკეთებულ განცხადებაში 20 ივნისის მოვლენებს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დამკვიდრებული ტერმინი — „გავრილოვის ღამე“ — უწოდა და ამ ყველაფერში ხელისუფლება დაადანაშაულა. თითქოს უმძიმეს დანაშაულთა სერია — პარლამენტში შეჭრის მცდელობა, პარლამენტში შეჭრისკენ მოწოდებები და შეჭრის ორგანიზება, პოლიციელებზე თავდასხმები, მათი მოტაცებები, ცემა და მათთვის იარაღის და სხვა აღჭურვილობის წართმევა — არც კი ყოფილა.

ეს არის ორმაგი სტანდარტი, როცა კაპიტოლიუმში შეჭრა უმძიმესი დანაშაულია, ხოლო საქართველოს პარლამენტში შეჭრის მცდელობას და პოლიციელებზე თავდასხმებს დემოკრატიული პროცესის ნაწილად მიიჩნევ! რაც შეეხება რუსი ტურისტების მკვლელობისა და მოლოტოვის კოქტეილის სროლისკენ მოწოდებებს, უკვე ეს მოწოდება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და მასზე შესაბამისი რეაგირებაა საჭირო. თანაც, მსგავსი მოწოდებები ფაშიზმისა და ქსენოფობიის გამოვლინებაა.

ყველაზე გამაოგნებელი კი ის არის, რომ ქსენოფობიისა და საზოგადოებაში ეთნიკურ ნიადაგზე სიძულვილის დანერგვას სწორედ ის ადამიანები უწყობენ ხელს, ვინც ყველაზე მეტად უნდა იბრძოდნენ ამის წინააღმდეგ. ვგულისხმობ იმ ე.წ. ენჯეოშნიკებს, რომელთა მთავარი მიზანი, თითქოს, ადამიანის უფლებების დაცვა უნდა იყოს, ასევე სახალხო დამცველს და ა.შ.

ამ თემასთან დაკავშირებით კიდევ ერთს დავამატებ: უბრალო მოქალაქეებისთვის შეურაცხყოფის მიყენება, მათ მიმართ მუქარა და შევიწროება მათი ეთნიკური წარმომავლობის გამო მხოლოდ ფაშიზმისა და ქსენოფობიის კი არა, უღირსობისა და სიმ-

როცა კაპიტოლიუმში შეჭრა უმძიმესი დანაშაულია, ხოლო საქართველოს პარლამენტში შეჭრის მცდელობას და პოლიციელებზე თავდასხმებს დემოკრატიული პროცესის ნაწილად მიიჩნევ, ყველაფერი დღესავით ნათელია!..

„ხალხის ძალა“ არ ხუმრობს!

ხდალის გამოვლინებაცაა. თუ ბრძოლა და კოქტეილების სროლა უნდოდათ, ამისი ასპარეზი ჰქონდათ უკრაინაში. ყველას გვახსოვს, უკრაინაში ომის დაწყების პირველივე დღეებში როგორ გავარდა არაერთი პოლიტიკოსი ვითომ საბრძოლველად. არანაირი მოლოტოვის კოქტეილი იქ არ სჭირდებოდათ, ყველაზე თანამედროვე იარაღიც ჰქონდათ და მტერიც ცხვირწინ ჰყავდათ, მაგრამ მრისხანე ინტერვიუების იქით მათი საქმიანობა არ წასულა და ხმაურით წასულები მალევე უჩუმრად გამოიპარნენ უკან. და ახლა, გადაწყვიტეს, რომ მშვიდობიან მოქალაქეებთან – ტურისტებთან თუ უბრალოდ რეჟიმს გამოქცეულ ადამიანებთან – გამოიჩინონ სიმამაცე. ასე მათთვისაც უსაფრთხოა და ქვეყანასაც ასე უფრო დაზიანებენ – მათი მიზანიც სწორედ ეს არის.

– ზემოთ თქვით, რომ ხდებოდა დამნაშავეების ციხიდან გამოშვება გარე ჩარევების შედეგად. კონკრეტულად ოქრუაშვილი-უგულავას განთავისუფლებას რაც შეეხება, რა დოზით იყო აქ ჩართული აშშ-ის საელჩო და უშუალოდ ელჩი?

– ამაზე უკვე ვილაპარაკეთ ჩვენს განცხადებაში და ამაზე მეტს ამ ეტაპზე არ



ვიტყვი, თუმცა, რაც მოხდა, ისედაც დღესავით ნათელია. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა ეს პირები დააკავეს და ბრალი წაუყენეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო. არანაირი ეჭვი, თითქოს ეს დანაშაული არ იყო ჩადენილი, არ არსებობდა. შესაბამისად, ვერ იარსებებდა მათი გამოშვების რაიმე მოტივაცია, რომ არ ყოფილიყო ზეწოლა ხელისუფლებაზე. მათი გათავისუფლება მოხდა ხელისუფლებაზე გარე ზეწოლის შედეგად და ეს იყო აბსოლუტურად გაუმართლებელი ჩარევა მართლმსაჯულებაში და დამოუკიდებელი ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში.

მეორე შემთხვევაში ზეწოლამ უფრო ღია ხასიათი მიიღო და ნიკა მელიას და გიორგი რურუას პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნა პირდაპირ ჩაიწერა ე.წ. „შარლ მიშელის“ შეთანხმებაში. თანაც, ფორმულირება იყო ასეთი – მხარეებს შორის უნდა დაიწყოს მოლაპარაკება პოლიტიკურად მიჩნეული ორი სისხლის სამართლის საქმის შესახებო. ანუ, მართლმსაჯულების საკითხები პირდაპირ აქციეს პოლიტიკოსებს შორის შეთანხმების საგნად მხოლოდ იმიტომ, რომ რადიკალური ოპოზიცია პარლამენტში არ შედიოდა.

ცხადია, ესეც იყო აბსოლუტურად გაუმართლებელი ჩარევა ქვეყნის სუვერენიტეტში როგორც ევროკავშირის წარმომადგენლობის, ისე აშშ-ის ელჩის მხრიდან. იმაზე აღარ ვლაპარაკობ, რამდენი ანტიკონსტიტუციური და დემოკრატიული პრაქტიკისთვის მიუღებელი მოთხოვნა ჩაიწერა ამ შეთანხმებაში მხოლოდ იმიტომ, რომ როგორმე „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ძალაუფლების ბერკეტები გადაენაწილებინათ.

– აშკარაა, რომ საზოგადოებაში იზრდება ანტიდასავლური განწყობა – ეს განწყობა, დიდწილად, პირდაპირ კავშირშია თქვენს განცხადებებთან, რომ ელჩები ცდილობენ ხელისუფლების შეცვლას და პროცესების რევოლუციური სცენარით განვითარებას?

– ვერ დაგეთანხმებით, რომ ანტიდასავლური განწყობები იზრდება, პირიქით, ბოლო კვლევებმა აჩვენა, საქართველოში დასავლური ინტეგრაციის მისწრაფებებს ისტორიულად ყველაზე მაღალი მხარდაჭერა აქვს. თუმცა, ქართველი საზოგადოება უფრო ფხიზლად არის და უფრო მეტად უფრთხილდება თავის სუვერენიტეტს. ყველა ხედავს საფრთხეს, რაც შეიძლება საქართველოს ომში ჩართვამ გამოიწვიოს; ყველა ხედავს, როგორ ცდილობენ უსამშობლო ადამიანები – რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები, ბობოლა ენჯეოშნიკები და ოპოზიციური ტელეარხების მფლობელები თუ წამყვანი ჟურნალისტები – საქართველო ომში ჩაითრიონ; ყველა ხედავს, რომ აშშ-ის ელჩი, არაერთი მოწოდების მიუხედავად, არც გმობს და არც ემიჯნება ამგვარ მცდელობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ თუ თვითონ არ ახდენს ამის კოორდინაციას, მინიმუმ, მხარს მაინც უჭერს.

რა თქმა უნდა, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის მხარდაჭერა, რასაც ჩვენი დასავლელი პარტნიორები გვიწევენ. მეორე მხრივ, მოულოდნელი არავისთვის იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყველა ქვეყანას თავისი ინტერესები აქვს და, როდესაც დიდ საჭადრაკო დაფაზე დიდი პარტია თამაშდება, დიდი მოთამაშეები ბუნებრივად ცდილობენ უპირატესობის მოპოვებას, ისეთი უპირატესობის, რომელიც ათწლეულებისა და შეიძლება ასწლეულების განმავლობაშიც განსაზღვრავს მომავალი სამყაროს დღის წესრიგს. ასეთ დროს დიდ ინტერესებს ხშირად ეწირება მეგობრობა და კეთილი სურვილები. **ჩერჩილის სიტყვებია – „ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მეგობრები, ინგლისს აქვს მუდმივი ინტერესები“.** ეს ინტერესები ხშირად დომინანტობს ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკაში. ოღონდ, როგორც ხდება ხოლმე, ამგვარი პოლიტიკის გატარების ბერკეტები ძლიერ მოთამაშეებს აქვთ და ხშირად ეს სუსტი ქვეყნების ინტერესების ხარჯზე ხდება.

– ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა რჩება ისევ აშშ-ის საელჩოს მთავარ გეგმად? ოპონენტები ხშირად ბრალს გდებენ იმაში, რომ თქვენ ავრცელებთ რუსულ ნარატივებს და, რომ აშშ-ის ელჩის წინააღმდეგ განცხადებები სწორედ რუსულ გეგმას ემსახურება...

– როდესაც ქალბატონ კელი დეგნანს ვუსვამთ კითხვებს, პასუხის ნაცვლად ვისმენთ ლაპარაკს რუსულ ნარატივზე, ანტიდასავლურობაზე და ა.შ. ანტიდასავლურობა და ანტიდემოკრატიულობა სწორედ ლეგიტიმურ კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავის არიდება და ხალხის ზურგს უკან საქმეების კეთების მცდელობაა.

როდესაც ელჩი ყველაფერს აკეთებს, რომ ისეთი კანონები მივიღოთ, რომლის მსგავსიც არ არის არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში; როდესაც ამ კანონების მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გარეშე ვერ მოხდეს ვერც ერთ საკვანძო თანამდებობის პირის დანიშვნა თუ არჩევა; როდესაც ფაქტია, რომ ამ კანონების მიღება მმართველობის სისტემის სრულ კოლაფსს გამოიწვევს, რომლითაც ერთადერთი პოლიტიკური ძალა – „ნაციონალური მოძრაობა“ ისარგებლებს; როდესაც პარლამენტში შეჭრის მცდელობებს და პოლიციელებზე თავდასხმებს, რაც უმძიმესი დანაშაულია, ელჩი აბრალებს ხელისუფლებას და, იმის ნაცვლად, რომ დანაშაული დაგმოს, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დამკვიდრებულ ტერმინს – „გავრილოვის ღამეს“ – იყენებს და ამით მკაფიოდ გვეუბნება, რომ მისი სიმპათია დანაშაულის ჩამდენთა მიმართ არის; როდესაც ელჩის ზეწოლის შედეგად ხელისუფლება მიდის გაუმართლებელ დათმობებზე და ამ უმძიმესი დანაშაულის ჩამდენთ სასჯელისგან ათავისუფლებს; როდესაც ელჩი ყველანაირად უცხადებს თანადგომას რადიკალური ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ იმ მედიაწარმომადგენლებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ საქართველოს ომში ჩასართავად, რომლებიც ეთნიკური წარმომავლობის გამო ადამიანების დევნისა და სიძულვილის კამპანიებს ატარებენ; და, როდესაც... ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ელჩი დღესაც ყველაფერს აკეთებს, რათა „ნაციონალური მოძრაობა“ მოიყვანოს ხელისუფლებაში, რადგან ეს ის ძალაა, რომელიც დაუფიქრებლად ჩართავს საქართველოს ომში, როგორც კი ელჩისგან მსგავსი ინსტრუქცია წამოვა.

– თქვენი განცხადებების შემდეგ შეწყდა ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე?

– ჩვენ აღარ ვართ მმართველ გუნდში, ამიტომ ზუსტად ვერ გეტყვით, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ კულუარული ზეწოლები შესუსტდებოდა. სამაგიეროდ, გააქტიურდა ქსენოფობიური კამპანიები, გაძლიერდა პოლიტიკური პოლარიზაცია. საელჩოს მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკური პარტიები უარს ამბობენ საპარლამენტო უმრავლესობასთან თანამშრომლობაზე ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების საგზაო რუკაზე მუშაობის პროცესში და რაღაც პარალელურ სტრუქტურებს ქმნიან. ზოგიერთი პოლიტიკოსი, მაგალითად, ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე, საერთოდაც ღიად მოუწოდებს სახელისუფლო შენობების შტურმისკენ და სახელმწიფო გადატრიალებისკენ და ა.შ.

ჩვენ არ მოგვისმენია არც ერთი განცხადება ქალბატონი კელი დეგნანისგან, რომ ეს დაუშვებელი ქმედებები და მოწოდებებია, რომ ეს დანაშაულია. არადა, იგი ყველაფერს ეხმაურება და ყველაფერზე აკეთებს ხოლმე განცხადებას. მაგალითად, აფასებს სასამართლოს გადაწყვეტილებებს ჯერ კიდევ მანამ, სანამ ამ გადაწყვეტილების დასაბუთება გამოქვეყნდება; აფასებს კანონმდებლობას და პირდაპირ ინსტრუქციებს იძლევა, რა საკანონმდებლო ნორმები მივიღოთ და რა გავაუქმოთ; ინსტრუქციებს იძლევა, ვინ დაინიშნოს უვადო მოსამართლედ და ვინ არა!!!

– რა შეიძლება ყოფილიყო მოთხოვნა, რის გამოც ამ ყველაზე რთულ პერიოდში ელჩი ომის დაწყებიდან ერთი თვის თავზე სამი საათი ელაპარაკებოდა ბიძინა ივანიშვილს?

– ელჩმა ყველანაირად სცადა, რომ ამ კითხვაზე პასუხი არ გაეცა და, ბიძინა ივანიშვილს რომ არ დაედასტურებინა, რომ შეხვედრა შედგა, ის ამ ფაქტს დამალავდა. თავისთავად ფაქტი ბევრ რამეზე მეტყველებს – ომის დაწყებიდან ერთი თვის თავზე, როდესაც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაწესებული არაფორმალური სანქციები პიკს აღწევს, შედგა სამსაათიანი შეხვედრა, რომლის შინაარსს დღემდე საგულდაგულოდ მალავს ელჩი. ერთადერთი მიზანი შეიძლებოდა ამ შეხვედრას ჰქონოდა – რადგან ელჩმა ვერ შეძლო საქართველოს ხელისუფლების დაყოლიება, რომ საქართველო ომში ჩართულიყო, ეს საქმე ბიძინა ივანიშვილს უნდა გაეკეთებინა – ან პოლიტიკაში დაბრუნებით, ან მისი ავტორიტეტის გამოყენებით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის არაფორმალური სანქციებიც, რაც ბიძინა ივანიშვილს დაუწესდა, თორემ, როცა სანქციების დაწესების საფუძველი არსებობს, დასავლეთში ნამდვილად არ ერიდებიან არც სანქციების ფორმალურად დაწესებას და არც მის მიზეზებზე ხმამაღლა ლაპარაკს.

– რამდენად უნდა ველოდოთ უფრო ხმაურიან განცხადებებს თქვენგან? როგორც ვიცი, გაცილებით მძიმე ფაქტები გაქვთ, აპირებთ თუ არა მათ გახმოვანებას? არაოფიციალური ინფორმაციით, ეს არ იყო ამერიკის ელჩის ერთადერთი შეხვედრა ივანიშვილთან...

– ნამდვილად არ გვაქვს ინფორმაცია რაიმე ახალი შეხვედრის შესახებ. რაც შეეხება ჩვენს მომავალ ქმედებებს, ჩვენი მიზანი ვინმესთან დაპირისპირება კი არა, საზოგადოების სწორად ინფორმირებაა, რომ ამ ურთულეს პერიოდში საბედისწერო შეცდომები არ დავუშვათ.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

„გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა“!

საბჭოთა კავშირის აღდგენის მანიაკური ფსიქოზით და განდიდების მანიით შეპყრობილმა პუტინმა ჩხრიკა, ჩხრიკა და მისი მოსაკლავი დანა გამოჩხრიკა! პუტინი ცდილობს დასავლეთ ევროპის და ამერიკის დაკნინების ხარჯზე სახელი, ავტორიტეტი მოიხვეჭოს! პუტინმა ბავშვური, – აკვიატებული აზრი თავიდან ვერ მოიშორა – უკრაინაში დამპყრობლური ომი დაიწყო, საბჭოთა კავშირის აღდგენა განიზრახა! ელვისებური ომით უნდა მიძინებული, საქმის ზოზინით – წყნარად და ზანტად მკეთებელი დასავლეთ ევროპა და ამერიკა გამოფხიზლებამდე დე ფაქტო, დე იურეს წინაშე დაეყენებინა – ეღიარებინათ პუტინისეული მორჩილი, მარიონეტული მთავრობა.

ელვისებური ომი ჩაუფლავდა, – არ მოელოდა უკრაინელი ხალხის ასეთ თავგანწირულ ბრძოლას, უკრაინის ასეთ წინააღმდეგობას, დასავლეთ ევროპის, ამერიკის ასეთ მორალურ და სამხედრო დახმარებასა და თავისი აგრესიული ომი რუსული ჯარის პრესტიჟის, მისი უძლეველობის სახელის შესანარჩუნებლად – სპეცოპერაციად მონათლა!

პუტინი ისედაც ადანაშაულებს დასავლეთ ევროპას და ამერიკას ომში თანამონაწილეობას, ამიტომ დასავლეთმა უკრაინას უნდა მიაწოდოს შორი ამპლიტუდიანი იარაღი, რომელიც რუსეთს ზურგში მიაყენებს დარტყმებს და აიძულებს პუტინს, რომ ხელები აწიოს! რუსეთის მარცხი გარდაუვალია!!!

ჩადენილი დანაშაულების შესაბამისად პუტინი საერთაშორისო სასამართლოს წინაშე წარსდგება და გამოტანილი განაჩენის შესაბამისად აგებს პასუხს!

ასე დაემართება ყველა მსუნაგს, ვინც სხვისი ტერიტორიების ოკუპაციას და მითვისებას შეეცდება!

ბატონი ბიძინა ივანიშვილი და მის მიერ დაფუძნებული პარტია „ქართული ოცნება“ თავისი პოლიტიკური საქმიანობით პუტინის რეჟიმის ატმოსფეროს მსხვერპლი გახდა – მისი გავლენის ქვეშ მოექცა! ბატონი ბიძინა ივანიშვილი ცხოვრებაგამოვლილი – ბევრის მნახველი ადამიანია! ის მდგომარეობა, რაშიც ის დღეს იმყოფება, მისმა ბედ-იღბალმა, მისმა წარსულმა განაპირობა! ბატონი ბიძინა ივანიშვილი თავისი ორიენტაციის გამო საქართველოსთვის პრობლემაა! ბატონი ბიძინა ივანიშვილისთვის კი მისი მილიარდებია პრობლემა! ეს ყველაფერი ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული!

ბატონი ბიძინა ივანიშვილი დილემის წინაშეა, – ან უნდა დარჩეს პუტინის მხარეს, შეინარჩუნოს მილიარდები რუსეთში და დარჩეს წყვდიადში, ან შეელიოს თავის მილიარდებს და მისი წყალობით გამდიდრებული ახლო ნათესავების მილიონობით დოლარებს რუსეთში და მართოს ქვეყანა სამართლიანად! წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტია „ქართული ოცნება“ პოლიტიკური ველიდან გაქრება, პოლიტიკური ველიდან გადაიხვეწება!

ოთარ შონია,
არქიტექტორი
ტელ: 571-39-05-92
ბინის 2-39-05-92.

ძმობისა და მეგობრობის ალამდარი



საყოველთაოდ აღიარებულ იურისტს – გამომძიებელს, პროკურორს, დეპუტატსა და მეწარმეს ნუგზარ შოშიაშვილს მალე 75 წელი შეუსრულდება. საიუბილეო თარიღის ნაადრევად მილოცვა მისდამი განსაკუთრებულმა პატივისცემამ და სხვებზე ადრე ამის გამოხატვის სურვილმა განაპირობა. იგი ჩემი საუკეთესო მეგობარია და ნახევარ საუკუნეზე მეტია ლხინსა და ჭირში, წარმატებებსა და სიძნელეთა ძლევაში ერთად ვართ. ჩვენი ოჯახები დიდი ხანია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ადამიანთა კეთილშობილ ერთობად იქცა.

ნუგზარი 1947 წელს დაიბადა დამსახურებული პედაგოგის ხვთისო შოშიაშვილისა და მედიცინის მუშაკის ლოლა ჯინჭარაძის სტუმართმოყვარეობით განთქმულ ოჯახში. სხვებთან ერთად მეც უამრავჯერ მქონია პატივი ამ ოჯახის სითბო და მადლი უშურველად მიმეღო. ნუგზარი და მისი უმცროსი ძმა – შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი, მინისტრის მოადგილე და პოლიციის გენერალი თენგიზ შოშიაშვილი, ერთმანეთზე ზრუნვითა და სამაგალითო ძმობით განთქმულნი, მშობლების სიყვარულში ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს.

ცხოვრების ასეთმა სტილმა და კულტურამ ჩვენი საზოგადოების ღირსებით გამორჩეულ წევრებად აქცია ისინი.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ნუგზარი სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იურისტობის სურვილი გენეტიკურად დაუკავშირდა ამ პროფესიას. მისი მეუღლეც და მათი ახლო ნათესავების უმრავლესობა წარსულში და აწმყოშიც იურისპრუდენციის მსახურებად ითვლებიან. სტუდენტობიდანვე დაიწყო ნუგზარმა მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის პოლიციაში. დიპლომირებულმა იურისტმა კი გამოძიების სფეროში გადაინაცვლა – გამოძიება ხომ უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების შეძენის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევა. ამიტომ იმუშავა ხუთი წელი თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებაში, ხუთიც – თბილისის პროკურატურის გამომძიებლობას და საგამოძიებო განყოფილების პროკურორობას მოანდომა. ეს საკმაო საფუძველი გახდა დამოუკიდებელი საპროკურორო საქმიანობისთვის. 1980 წელს ნუგზარ შოშიაშვილი დაინიშნა თბილისის კიროვის რაიონის პროკურორად. გამოჩენილი პროფესიონალიზმის, პრინციპულობისა და შეუბღალავი რეპუტაციის გამო მას აწინაურებენ საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილედ.1986 წელს კი სამუშაოდ გადაყავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში – ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ, საიდანაც მალე პროკურატურაში ბრუნდება. ამჯერად – საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ. ამ თანამდებობაზე, საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში, ხშირად რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შესრულებაც უხდებოდა. ავადსახსენებელი ცხრა აპრილის დარბევის დეტალების გარკვევა და დაზარალებულთა ინტერესების დაცვაზე ზრუნვა ძირითადად მას დაეკისრა. პოლიტიკური მდგომარეობის შედარებითი სტაბილიზაციის შემდეგ, როცა დღის წესრიგში დანგრეული მეურნეობის აღდგენის პრობლემა დადგა, ნუგზარ შოშიაშვილი ამიერკავკასიაში უდიდესი და მულტიპროფილური სატრანსპორტო პროკურატურას ჩაუდგა სათავეში. აქ მან საკმაოდ დიდხანს იმუშავა. მისი როგორც იურისტისა და პატრიოტი მოქალაქის პოზიცია ყოველთვის კანონიერების დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცებისკენ იყო მიმართული. მაქსიმალურად იყენებდა პროფესიულ გამოცდილებას და ცდილობდა რეალური გავლენა მოეხდინა ქვეყანაში არსებული კრიმინალური მდგომარეობის გამოსწორებასა და კანონიერების განმტკიცებაზე.

სამართალდამცავ ორგანოებში ნუგზარ შოშიაშვილის ნაყოფიერი საქმიანობა არაერთხელ იქნა განზოგადებული და წახალისებული. იგი დაჯილდოებულია პროკურატურის საიუბილეო მედლითა და ღირსების ორდენით. ახალგაზრდა ასაკში ნუგზარ შოშიაშვილი იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი – პროკურატურის გენერალი გახდა. ერთ ასპარეზზე ერთი ადამიანისთვის ეს ღვაწლი ზომაზე მეტიცაა.

პროკურატურის შემდეგ ნუგზარ შოშიაშვილი კარიერას საქართველოს პარლამენტში აგრძელებს. 2004 წელს იგი თავის მშობლიურმა სიღნაღის რაიონმა მაჟორიტარ დეპუტატად აირჩია. რაიონის მოსახლეობის წინაშე მისი ვალდებულებანი პარლამენტარობით არ ყოფილა შემოფარგლული. შესაძლებლობის ფარგლებში ადრეც და შემდგომაც ცდილობდა თანადგომა გამოეხატა თავისი ამომრჩევლების წინაშე. იგი დღესაც ასეთი წესით ცხოვრობს. ხალხთან სიახლოვემ და მათთან თანამშრომლობამ ნუგზარ შოშიაშვილს იურისტობასა და პარლამენტარობასთან ერთად წინაპართა ტრადიციული საქმისადმი მიდრეკილებაც გაუღვივა – რამდენიმე წელია შირაქის მინდვრებზე მარცვლეული კულტურის მოყვანით არის დაკავებული. ამ ასპარეზიდანაც ცდილობს იგი თავისი რაიონის მოსახლეობის შრომითი, მატერიალური და სამართლებრივი პრობლემების მოგვარებას, რამაც საყოველთაო სიყვარული და აღიარება მოუპოვა.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ნუგზარს მოახლოებულ იუბილეს, ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას თავის მეუღლესთან – უმშვენიერეს რუსუდან სისაურთან და უსაყვარლესი ქალიშვილების ნინოსა და ლელას სამაგალითო ოჯახებთან ერთად.

რომან შენგელია,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი,
საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

თამარ მეფის გამზირზე საზოგადოებრივი ტრანსპორტი აღარ დაყოვნდება

თამარ მეფის გამზირზე გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასრულდა. სამუშაოებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე გაეცნო.

„კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რაც სადგურის მოედნიდან გმირთა მოედნამდე არსებულ საგზაო მონაკვეთში საავტობუსე ზოლების მოწყობას გულისხმობს, რაც იმ სატრანსპორტო პოლიტიკის ნაწილია, რომელიც დედაქალაქის მერიამ დააანონსა. საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა იყოს ყველაზე კომფორტული და მოქალაქეებს გადაადგილება თავისუფლად, ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე შეეძლოთ.

ყველა იმ ქუჩაზე, სადაც კვლევების შემდეგ, შესაძლებელი იქნება საავტობუსე ზოლების მოწყობა, ყველგან გაკეთდება, რათა საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა თავისუფლად შეძლოს გადაადგილება. თამარ მეფის გამზირი იყო ერთ-ერთი ურთულესი კვანძი საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის. შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილებით, ეს პრობლემა მთლიანად მოგვარდება. ასევე, ქვეითად მოსიარულეებისთვის მოეწყო გადასასვლელები.

დაემატა შუქნიშნები, რამაც მოაწესრიგა გადაადგილება, როგორც ქვეითებისთვის, ასევე, ავტომობილებისთვის და ავტობუსებისთვის“, – განაცხადა კახა კალაძემ.

გარდა ამისა, ტერიტორიაზე მოეწყო სარწყავი სისტემა და მიმდინარეობს გამწვანების სამუშაოები. ტერიტორია სრულად ადაპტირდა შშმ პირებისთვის.

თამარ მეფისა და აღმაშენებლის გამზირების კვეთაზე გადატვირთული საგზაო მოძრაობის გამო, საზოგადოებრივ ტრანსპორტს დაყოვნება უწევდა, რაც მოცდის დროის გაზრდას განაპირობებდა. აღნიშნული პროექტის განხორციელება საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეთათვის მნიშვნელოვანია, რადგან ტერიტორიაზე, 50 მარშრუტზე, 386 სატრანსპორტო ერთეულით დღის განმავლობაში, დაახლოებით, 3 051 დაგეგმილი მგზავრობაა. სამუშაოების შედეგად, აღნიშნულ ტერიტორიაზე მგზავრები საზოგადოებრივი ტრანსპორტით შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილებას შეძლებენ.

თამარ მეფის გამზირზე დედაქალაქის მერთან ერთად, თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგენტოს უფროსის მოადგილე მამუკა მუმლაძე, დიდუბის გამგებელი ვლადიმერ ძნელაძე, ასევე, რაიონის მაჟორიტარი დეპუტატები პარლამენტსა და საკრებულოში - გიორგი ვოლსკი და ზურაბ ჩიკვილაძე იმყოფებოდნენ.



თითქმის ასი წლის წინათ, საბჭოთა რეჟიმის მიერ წამოწყებულ კოლექტივიზაციის პირველ ტალღას საქართველოშიც მოჰყვა არაორგანიზებული, მაგრამ ძლიერი პროტესტი, რომელშიც ქალებიც მონაწილეობდნენ. სამეგრელოში, სოფელ ჭოღის ქალთა აჯანყების და მისი ტრაგიკული დასასრულის ამბავი ერთმა ძველმა ფოტომაც შემოინახა. ეს ფოტო დღემდე ინახება აჯანყების ჩახშობის დღეს მოკლული 16 წლის ვერა შენგელიას ძველ საოჯახო ალბომში.

მგლოვიარე ქალები 16 წლის გოგოს ცხედართან. ფოტო ოთო შენგელიას არქივიდან.

მეგრელ ქალთა ამბოხი ჭოღაში

კივილით გაპროტესტებული საბჭოთა ოკუპაცია

„იდგნენ თმაგაშლილები და კივილით აპროტესტებდნენ...

შავ-თეთრ, გაცრეცილ ფოტოზე, რომელიც ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოღის მკვიდრმა, ოთო შენგელიამ ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა ფეისბუკზე, შავებში ჩაცმული, მგლოვიარე ქალები 16 წლის გოგოს ცხედართან სხედან. დატირების ამსახველი ეს ფოტო სამეგრელოში, თითქმის ასი წლის წინ მომხდარ ამბავს ჰყვება – საბჭოთა ოკუპაციის და რეჟიმის მოწინააღმდეგე ქალებმა, სამეგრელოში, აჯანყება მოაწყვეს და თმაგაშლილებმა, კივილით გააპროტესტეს კოლექტივიზაცია. ამბოხი ტყვიებით ჩაახშეს, რასაც იმ დღეს ჭოღაში რამდენიმე ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ჭოღის ქალთა აჯანყებას მეთაურიც ჰყავდა — კარა პაპავა სოფელ თაიადან.

ქალთა ამბოხის ეს ამბავი სამეგრელოში ფრაგმენტულად შემორჩა. ბევრი დეტალი უკვე დავიწყებულია, თუმცა ის, რაც სოფლის უხუცესებმა ოთო შენგელიას უამბეს, მომხდარის სურათს ნაწილობრივ მაინც აღადგენს.

მეოცე საუკუნის ოციანი წლების ბოლო უნდა ყოფილიყო.

ეს ის დრო, როცა საქართველო საბჭოთა რუსეთის მიერ რამდენიმე წლის ოკუპირებულია. რეჟიმს დაწყებული აქვს კოლექტივიზაციის და ე.წ. გაკულაკების პირველი მტკივნეული ტალღა, რასაც მთელ ქვეყანაში ხალხის ქაოსური, თუმცა მძლავრი პროტესტი ახლავს. მეამბოხე ქალებიც მათი ოჯახების კუთვნილი ქონების საერთო სარგებლობისთვის ჩამორთმევას აპროტესტებდნენ.

კარა პაპავა

სოფელი ჭოღა მაშინ ოთხი სოფლის ცენტრად ითვლებოდა. როგორც ჩანს, პროტესტის გამოსახატად ქალებმა ჭოღა ამიტომაც აირჩიეს და ზუსტად ისე, როგორც სამეგრელოში იცოდნენ გლოვის დროს თმის გაშლა და კივილი, პროტესტიც ამ ფორმით გამოუხატავთ სოფლის ცენტრში.

გადმოცემებზე დაყრდნობით, ოთო შენგელია გვიამბობს, რომ იმ დღეს, მაზრიდან სოფელ ჭოღაში ჩასული ყოფილა ჩინოვნიკი, რომელიც ხალხს აცნობდა, თუ ვის რა ქონება ჩამოერთვა (ან ჩამოერთმეოდა) „საერთო სიკეთისთვის“.

ერთი ვერსიით, ეს კაცი შემაღლებულ ადგილას მდგარა, საიდანაც აჯანყების ხელმძღვანელს, კარა პაპავას ის ძალით ჩამოუგდია — არეულობა და გასროლაც ამას მოჰყოლია. სროლისას, როგორც ჭოღაში ჰყვებიან, სამი ქალი დაიღუპა. მათ შორის ყოფილა 16 წლის ვერა შენგელიაც. კარა პაპავა, როგორც ამბოხის მეთაური, დაუჭერიათ და ჯერ წალენჯიხაში, შემდეგ ზუგდიდში, ბოლოს კი თბილისში, მეტეხის ციხეში გადაუყვანიათ.

უხუცესი სოფელ თაიადან, იორდანე აფშილავა, რომლის მამის ბიცოლაც იყო კარა პაპავა, იხსენებს, რომ იმ დროს, კარას უკვე ექვსი შვილი ჰყოლია და მეშვიდეზე ყოფილა ფეხმძიმედ. ორსულობის ამბავი მას ციხეში ყოფნისას გაუგია. ამბობენ, სწორედ ამ მიზეზით გამოუშვიათ ციხიდან.

იორდანე აფშილავამაც გადმოცემით იცის, რომ **„კარა მენშევიკი იყო და არც რუსეთი უნდოდა და არც ბოლშევიკური იდეები“.**

სიბერეში აჯანყების ამბებს მხოლოდ მაშინ იხსენებდა, როცა „გუნებაზე იყოო“, — ჰყვება იორდანე აფშილავა.

ყველაფერი – საერთო სარგებლობისთვის

ძალდატანებითი კოლექტივიზაციის პირველი, „უმძიმესი ფაზა“, როგორც მას „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის“ მკვლევარი, ირაკლი ხვადაგიანი უწოდებს, მეოცე საუკუნის ოციანი წლების ბოლოს დაიწყო. ეს ის დრაა, როცა ე.წ. ნეპი (Нэп ახალი ეკონომიკური პოლიტიკა რუსულად) დასრულებულია და იწყება კოლექტივიზაციის პროცესი, რომლის დროსაც, როგორც ირაკლი ამბობს, რეჟიმმა ყველას კარზე დააკაკუნა. ეს ცნობილი უკრაინული „ჰოლოდომორის“ დრაა, რომელსაც საქართველოშიც არანაკლები მასშტაბის ტრაგიკული მოვლენები მოჰყვა.

ამ დროს, საქართველოში, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ სოფლად ცხოვრობდა. რეჟიმი ამჯერად მათ მიადგა. არჩევანი ორი იყო — ან დამორჩილებოდნენ და ათწლეულების განმავლობაში, საკუთარი შრომით მოპოვებული ქონების კოლექტიურ საკუთრებად გარდაქმნაზე დათანხმებოდნენ, ან წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ.

„ყველა ხვდებოდა, რომ ეს იყო ბატონყმობის ახალი მოდელი, რომლითაც სისტემას ხალხის მიერ მოპოვებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი რესურსი მიჰქონდა, მათ კი მხოლოდ იმდენს უტოვებდა, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ“, — ამბობს ირაკლი ხვადაგიანი.

ეს სიახლე უმრავლესობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და სტიქიური წინააღმდეგობაც დაიწყო. კოლექტივში გაწევრიანებაზე, რომელიც პროპაგანდის თანახმად, თითქოსდა ნებაყოფლობითი იყო, ხალხი უარს აცხადებდა.

თუ მანამდე გლეხს შეეძლო თავის მიწაზე შეკეტილიყო, თავი საკუთარი შრომით ერჩინა და საბჭოთა რეჟიმზე დამოკიდებული არ ყოფილიყო, მას ეს მინიმალური კომფორტიც წაართვეს.

იორდანე აფშილავა

ირაკლი ხვადაგიანის სიტყვებით, დაიწყო სტიქიური წინააღმდეგობა — ხან კოლექტივიზაციის პარტაქტივის წევრებს კლავდნენ, ხან სოფლიდან აძევებდნენ, თავს ესხმოდნენ და არბევდნენ კოლმეურნეობის შექმნილ კანტორებს.

იკვეთებოდა ახალი სამოქალაქო ომის კონტურები.

„მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ამას არაფრით დათანხმდებოდა, მტრულ ელემენტებად, „კულაკებად“ ცხადდებოდა. პროპაგანდა მათ სოფლის კაპიტალისტებს უწოდებდა, რომლებიც „სხვისი შრომის ხარჯზე მდიდრდებოდნენ“, რის გამოც ისინი (როგორც კლასი) უნდა გამქრალიყვნენ, ქონება კი ჩამორთმეოდათ. ასეც ხდებოდა. მათ აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ, მათი ქონება კი კოლმეურნეობას გადაეცემოდა ხოლმე. პარალელურად, დანარჩენებს, საშუალო შეძლების გლეხებსა და ერთპიროვნულ გლეხებს („ედინალიჩნიკებს“) კოლექტივში შესვლას აიძულებდნენ. რეჟიმი ყველაფერს აკეთებდა, რომ სოფლის მოსახლეობაში განხეთქილება შეეტანა და ასე დაესუსტებინა მოწინააღმდეგეები“, — უყვება ირაკლი ხვადაგიანი „რადიო თავისუფლებას“.

სხვადასხვა ცნობის თანახმად, სტიქიურმა გამოსვლებმა იფეთქა კახეთში, ქვემო ქართლში, სამეგრელოში, იმერეთში, აფხაზეთში.

„სოვლაბის“ მიერ გამოცემულ მიხეილ ნატროშვილის მოგონებებში აღწერილია, თუ როგორი პროტესტი მოჰყვა კოლექტივიზაციის პირველ ტალღას სოფლებში და როგორ ცდილობდნენ ადგილობრივი გლეხები, კოლექტივიზაციის აგიტატორები სოფლიდან გაეძევებინათ.

ქალების პროტესტი ასი წლის წინათ!

მოწინააღმდეგეთა რიგებში მრავლად იყვნენ ქალებიც. პროტესტი ზოგან იმდენად ძლიერი იყო, რომ წინააღმდეგობას ძალით ახშობდნენ. აჯანყებების მოთავეებსა და მონაწილეებს აპატიმრებდნენ. შემდგომ წლებში ამ პროცესს მოჰყვა კიდეც პირველი მასობრივი წმენდა, როცა სოფლის მოსახლეობა შუა აზიასა და ჩრდილოეთ ყაზახეთის გზას გაუყენეს.

ირაკლი ხვადაგიანს ემიგრანტულ გამოცემებში შეხვედრია ცნობები იმის შესახებ, რომ ამ წინააღმდეგობების დროს, მაგალითად, სამეგრელოში, ძალიან აქტიურობდნენ ქალები — შესაძლოა, იმ იმედით, რომ ქალების წინააღმდეგ რეჟიმი ძალის გამოყენებას მოერიდებოდა, თუმცა კარა პაპავას და მისი თანამოაზრე ამბოხებული ქალების ამბავი საპირისპიროს ამტკიცებს — საბჭოთა რეჟიმი არავის ინდობდა.

ასე გაგრძელდა 1931 წლამდე. ირაკლი ხვადაგიანის თქმით, ამ პერიოდში საბჭოთა რეჟიმი დროებით უკან დაიხევს — ის ხვდება, რომ მზად არ აღმოჩნდა მიეხედა ამ მასშტაბის წინააღმდეგობისთვის.

სტალინის ბრძანებით, პროცესი დროებით ვითომდა გაჩერდა — პროპაგანდა აცხადებდა, კოლექტივიზაციის პირველი ფაზა იმდენად წარმატებით მიდიოდა, რომ ამ წარმატებების გამო რიგმა ამხანაგებმა უფლებამოსილებას გადააჭარბეს და ზოგან გლეხებს დააძალეს კოლექტივში შესულიყვნენ, რაც მიუღებელია და ეს ამბავი თავისუფალ ნებას უნდა ეფუძნებოდესო. ეს კი არა, ხალხს მოუწოდეს, თუ ვინმე უკმაყოფილოა, მას შეუძლია კოლექტივიდან გავიდეს და თავისი ქონებაც დაიბრუნოსო.

სისხლით შეკოწიწებული კოლმეურნეობები უცებ დაიშალა. მაშინ გაჩნდა ცნობილი სიმღერაც, რომელიც ხალხმა უცებ აიტაცა:

„ცაზე მთვარე ამოსულა,
ნიშანია დარისა,
კოლექტივი დაიშალა,
ვენაცვალე სტალინსა“...

მაგრამ სიხარული დროებითი იყო.

მალე, 1936-1937 წლებში (და შემდგომაც) „დიდი ტერორის“ და ხელახალი, სწორედ ამ ტერორის ინსტრუმენტით „სრულყოფილად ჩატარებული“ უფრო მძლავრი კოლექტივიზაციის ფაზის ფონზე, ოფიციალურმა პროპაგანდამ ეს სიმღერაც ასე გადააკეთა:

„კოლექტივი გაძლიერდა,
ვენაცვალე სტალინსა“...

ხალხის ცხოვრება კი მრავალი წლით დაუქვემდებარა საბჭოთა რეჟიმის სურვილებს.

ეკა ქევანიშვილი,
„რადიო თავისუფლების“ თბილისის ბიუროს ჟურნალისტი.

სოფელი ჭოღა მაშინ ოთხი სოფლის ცენტრად ითვლებოდა. როგორც ჩანს, პროტესტის გამოსახატად ქალებმა ჭოღა ამიტომაც აირჩიეს

გამოუსწორებელი აგრესორის სიცრუე და სიბილწე

რუსეთის ხელისუფლება ბოლო დროს აღარ მალავს, რომ წლობით ამუშავებდა ორ კონცეფციას, რომელთა რეალიზებაც 2008 წელს საქართველოში დაიწყო, ხოლო შემდეგ უკრაინაში გააგრძელა. პირველი მათგანი სსრკ-ის აღდგენაა (ახალ ერთობას კრემლის გეგმაში „სამოკავშირეო სახელმწიფო“ ეწოდება), ხოლო მეორე — „ისტორიული რუსეთი“ (იგივე „დიადი რუსეთი“), რომლის საზღვრებიც, როგორც პუტინის ხელისუფლების წარმომადგენლებისგან უკვე არაერთგზის მოვისმინეთ, „არსად მთავრდება“.

ისიც, რასაც 24 თებერვლიდან უკრაინაში ვადევნებთ თვალს, სხვა არაფერია, თუ არა პუტინის რეჟიმის მიერ ამ კონცეფციების რეალიზების მცდელობა და თუ თავიდან კრემლის სადეზინფორმაციო პროპაგანდა ათას ცრუ საბაბს ასახელებდა („დენაციფიკაციის“, „დემილიტარიზაციის“, „რუსეთზე უკრაინისა და ნატოს დაგეგმილი თავდასხმის პრევენციისა“ თუ „უკრაინის ბირთვულ სახელმწიფოდ გარდაქმნის პრევენციის“ სახით) უკვე მეორე მეზობელ ქვეყანაში სრულმასშტაბიანი შეჭრის გასამართლებლად, ბოლო დროს მოსკოვმა „კარტი გახსნა“: პეტერბურგის ამასწინანდელი ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე პუტინმა „რუსული მიწების შემგროვებელი პეტრე I-ის მემკვიდრედ“ გამოაცხადა თავი და “იმპერიის აღდგენის“ ზრახვა გამოაჯაროვა.

ვინც პროცესებს ყურადღებით ადევნებს თვალს, კრემლის მხრიდან უახლოეს წარსულში სხვა „აღიარებითი ჩვენებებიც“ ემახსოვრება. მაგალითად, უკრაინის ომამდე ცოტა ხნით ადრე კრემლის „რუხ კარდინალად“ და პოსტსაბჭოთა სივრცეში სეპარატისტული წარმონაქმნების ერთ-ერთ მთავარ „არქიტექტორად“ ცნობილმა ვლადისლავ სურკოვმა ვრცელი წერილი გამოაქვეყნა იმის შესახებ, რომ თანამედროვე რუსეთი „ვერ დარჩება საზღვრებში, რომლებიც 1918 წელს — გერმანიასთან „ბრესტის მშვიდობის“ ზავის გაფორმების შემდეგ ჩამოყალიბდა“. „ვიწროდ ვართ, მოწყენილად და უხერხულად“ წარმოუდგენელია, რუსეთი ამ სამარცხვინო (ბრესტის) მშვიდობის ზევის ფარგლებში დარჩეს. ჩვენ, ცხადია, მშვიდობის მომხრეები ვართ, მაგრამ არა სამარცხვინო, არამედ სწორი მშვიდობის“, — წერდა სურკოვი, დასასრულს კი ასკვნიდა, რომ „რუსეთი უცილობლად გაფართოვდება — ეს უბრალოდ ფიზიკაა“.

უკრაინასთან ერთად კრემლის ამ გეგმაში პირველ პოზიციებს საქართველო და ყაზახეთიც იკავებენ. სხვა ნიშნებთან ერთად, ამაზე მეტყველებს რუსეთის ყოფილი პრეზიდენტისა და პრემიერის, ამჟამად უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის დიმიტრი მედვედევის ამასწინანდელი პუბლიკაციაც: 8 აგვისტოს, სოცქსელ „Вконтакте“-ში გამოქვეყნებულ წერილში იგი ამტკიცებდა, რომ **„1801 წლამდე ქვეყანა „საქართველო“ არ არსებობდა“, რომ ის „მხოლოდ რუსეთის იმპერიის ფარგლებში გაჩნდა“ და რომ „ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი და საქართველოს ამჟამინდელი ტერიტორია მხოლოდ რუსეთთან ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში შეიძლება, გაერთიანდნენ“.**

ზოგიერთებმა ეს მედვედევს პირად ინიციატივად ჩაუთვალეს პუტინის გულის მოსაგებად. თუმცა ცხადია, ასე ფიქრი დიდი შეცდომაა. ეს სწორედ პუტინის ხედვაა, თანაც არახალი და ამაზე მის მიერ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ჟურნალისტების წინაშე წარმოთქმული შემდეგი სიტყვებიც მეტყველებს:

„ოსეთი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, თუ სწორად მახსოვს, 1774 წელს, მთლიანად — სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, აფხაზეთი კი — 1810-ში, ასევე როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, როგორც სამთავრო. არანაირი საქართველო არ ყოფილა, ეს იყო თბილისის გუბერნია. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საქართველომ სცადა, აფხაზეთი ჩაეყლაპა, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო და გერმანიის ძალების დახმარებით 1918 წელს საქართველომ აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა. ოკუპანტები სასტიკად იქცეოდნენ. კიდევ უფრო სასტიკად მოქმედებდნენ ქართული ძალები ოსეთში 1919-1920 წლებში. სინამდვილეში, ეს ზუსტად ისაა, რასაც გენოციდი ეწოდება და კარგი იქნება, იცოდეს ეს საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, არასდროს უნდა დაივიწყოს, თუ სურს, აფხაზეთისა და სახმრეთ ოსეთის ხალხებთან ურთიერთობა დაალაგოს. საბჭოთა კავშირის დროს, სხვათა შორის, თავდაპირველად ჩამოყალიბდა აფხაზეთის სამოკავშირეო სოციალისტური რესპუბლიკა, რომელშიც შევიდა დღევანდელი საქართველო. ეს საქართველოც კი არ იყო. სტალინის დროს კი შეიქმნა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა, რომლის შემადგენელი ნაწილი გახდა აფხაზეთი. სხვათა შორის, ჩვენი უფლებადამცველები ამაზე ყურადღებას არასდროს ამახვილებენ და ეს უცნაურიც კია. სტალინის ბრძანებით, НКВД-მ ბერიას ხელმძღვანელობით ძალიან სასტიკი ზომები მიიღო აფხაზებთან მიმართებაში, — ახლა არც მინდა, ვახსენო, როგორი, იმ მიზნით, რომ საქართველოს გადაეყლაპა ეს ტერიტორია და აფხაზი ხალხი“.

ისტორიის გაყალბება და ზოგადად სიცრუე კრემლისგან აღარავის უკვირს. საკუთარი იმპერიალისტური მიზნების მისაღწევად პუტინის რეჟიმი ამ ხერხს დღესაც აქტიურად იყენებს როგორც რუსეთის, ისე მეზობელი და არა მარტო მეზობელი ქვეყნების მოსახლეობების შეცდომაში შესაყვანად. კრემლის სადეზინფორმაციო პროპაგანდამ ბოლო დროს საქართველოშიც ფართოდ გაშალა ფრთები. უკვე სახეზეა ქვეყანაში რუსული გავლენის ზრდის სხვა არაერთი ნიშანიც და ეს ყველაფერი განსაკუთრებით საგანგაშოა სურკოვის, მედვედევის, პუტინისა და სხვათა იმ საჯარო განცხადებების ფონზე, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რა მიზნები ამოძრავებს პუტინის რუსეთს სამეზობლოსთან, მათ შორის საქართველოსთან მიმართებაში...

სჯობს, თურქეთში მოილაპარაკოთ!..

„ჩვენი მიზანია თურქეთში მოლაპარაკებების ორგანიზება პრეზიდენტ პუტინსა და პრეზიდენტ ზელენსკის შორის, რათა გრძელვადიან მშვიდობას მივაღწიოთ“, — განაცხადა პრეზიდენტმა ერდოღანმა. თურქეთის ლიდერის თქმით, თურქეთი აგრძელებს ძალისხმევას ომის დასასრულებლად და უკრაინაში ხანგრძლივი მშვიდობის დასამყარებლად. ერდოღანმა ასევე ხაზი გაუსვა მარცვლეულის დერეფნის მნიშვნელობას მთელი მსოფლიოსთვის და აღნიშნა, რომ შავი ზღვის პორტებიდან მიწოდების განახლების შედეგად, მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის 30%-მა კვლავ მიიღო წვდომა საკვებზე ამ რეგიონიდან.

გერმანია უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას ვერ რისკავს

გერმანიის თავდაცვის სამინისტრომ უარყო ბუნდესტაგის კოალიციური პოლიტიკოსების მცდელობა, უკრაინისათვის მეტი იარაღი მიეწოდებინათ.

გერმანიის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმ საფრთხის გათვალისწინებით, რომელსაც რუსეთი ვლადიმირ პუტინის პირობებში წარმოადგენს, ბუნდესვერი ვერ გარისკავს. **„ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ პუტინს შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერი სისუსტით და თუნდაც დროებითი ხარვეზით ნატოს თავდაცვისუნარიანობაში“,** — აღნიშნა გერმანიის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა. მანამდე ბუნდესტაგის დეპუტატებმა კრისტიან კლინკმა, სარა ნანიმ (ალიანსი 90/მწვანეები) და ალექსანდრე მიულერმა გამოცემა შპიგელის სტატიაში გამოთქვეს აზრი, რომ გერმანიამ სასწრაფოდ უნდა მიაწოდოს უკრაინას მეტი იარაღი.

ბულგარეთი რუსეთთან მოლაპარაკებების მომხრეა

ბულგარეთი რუსეთთან ბუნებრივ აირზე მოლაპარაკებებს გარდაუვალად მიიჩნევს. ბულგარეთის ტექნიკური მთავრობის ენერგეტიკის მინისტრი საჭიროდ მიიჩნევს, რომ ქვეყანამ მოლაპარაკებები გამართოს „გაზპრომთან“ გაზის მიწოდების აღდგენასთან დაკავშირებით, რომელიც აპრილში შეწყდა.

„დოიჩე ველეს“ ცნობით, როსენ ჰრისტოვს არ უთქვამს, როდის დაიწყება მოლაპარაკებები რუსულ სახელმწიფო კომპანიასთან, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ბულგარეთმა მიიღოს იაფი გაზი. როგორც მედიასაშუალება წერს, ბულგარეთი თავისი საჭიროებების 90 პროცენტზე მეტს რუსული გაზით ფარავდა, სანამ „გაზპრომმა“ აპრილში გაზის მიწოდება არ შეწყვიტა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ბულგარეთის ყოფილმა მთავრობამ, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრისთვის ევროპული სანქციების გამო, უარი თქვა გაზის საფასურის რუბლებში გადახდაზე, როგორც ამას მოსკოვი ითხოვდა. „გაზპრომთან“ გრძელვადიანი კონტრაქტი 2022 წლის ბოლოს იწურება. ამჟამად ბულგარეთი, რომელსაც წელიწადში დაახლოებით სამი მილიარდი კუბური მეტრი გაზი სჭირდება, მესამედს აზერბაიჯანიდან იღებს, დანარჩენს კი მსოფლიო ბაზარზე ყიდულობს.

პუტინი უკრაინის სამთავრობო და სამოქალაქო ობიექტებზე იერიშს გეგმავს

შეერთებული შტატების ინფორმაციით, უახლოეს დღეებში რუსეთი გეგმავს უკრაინის სამთავრობო და სამოქალაქო ობიექტებზე იერიშს. შესაბამისი გაფრთხილება გაავრცელა კიევში აშშ-ის საელჩომ.

სახელმწიფო დეპარტამენტი მოუწოდებს ამერიკის მოქალაქეებს, დაუყოვნებლივ დატოვონ უკრაინა რუსული ჯარების მიერ სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაბომბვის საფრთხის გამო. მანამდე, უკრაინის ხელისუფლება იტყობინებოდა, რომ 24 აგვისტოს, ქვეყნის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, რუსეთი აპირებდა კიევზე თავდასხმას.

აშშ არ გეგმავს რუსებისთვის ვიზების აკრძალვას

„ბიბისი“ იუწყება, რომ ამის შესახებ ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში, რომელსაც ამერიკული მედია ციტირებს. მედიის ცნობით, მოხსენებაში ნათქვამია, რომ 24 თებერვლიდან შეერთებულმა შტატებმა უკვე აკრძალა ქვეყანაში დაახლოებით 5 000 პირის შესვლა, რომლებიც ამა თუ იმ გზით მონაწილეობას ილებდნენ უკრაინაზე რუსეთის თავდასხმაში და ამაზე მუშაობა კვლავ გაგრძელდება.

ამავდროულად, შეერთებულ შტატებს არ სურს, გზა დაუკეტოს იმ პირებს, რომლებიც რუსეთში იდევნებიან და ვისაც საფრთხე ემუქრება.

„ჩვენ გვსურს, გავავლოთ მკაფიო ზღვარი რუსეთის მთავრობასა და რუსეთში მცხოვრებ ხალხს შორის“, — ნათქვამია განცხადებაში. „ბიბისის“ ცნობით, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჩეხეთი და პოლონეთი რუსებისთვის ვიზების სრული აკრძალვის მომხრენი არიან, განსაკუთრებით ტურისტებისთვის. ფინეთმა მკვეთრად შეამცირა ვიზების გაცემა. აკრძალვის წინააღმდეგ გერმანია, საფრანგეთი, საბერძნეთი და მთლიანად ევროკომისია გამოდიან.

პირველი მცენარეები, როგორ მოყვანაც ადამიანს მარსზე შეეძლება

მას შემდეგ, რაც მარსამდე მიღწევის ყველა სირთულეს დავძლევთ, უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ გავხადოთ იქ ცხოვრება მდგრადი — ამის უმთავრესი ნაწილი კი იქნება იქ მცენარეების მოყვანა-მოშენება.

თუკი ნანახი გაქვთ ფილმი „მარსელი“, ალბათ გახსოვთ, როგორ წვალობს მეტ დეიმონის პერსონაჟი წითელი პლანეტის ლანდშაფტზე მცენარეების მოყვანაში;

ფილმს NASA-ს ექსპერიმენტები უდევს საფუძვლად. ეს ყველაფერი არც ისე მარტივია. მარსის ქვაღორღი და მტვერი არა მხოლოდ ორგანულ მასალებსა და სასარგებლო მიკრობებს არის მოკლებული, არამედ ასევე სავსეა ისეთი მარილებითა და მინერალებით, რომელთა გამოც, უმეტეს მცენარეს დიდი ბრძოლა მოუწევდა გადარჩენისთვის.

ახალი კვლევა შედარებით მარტივ გზას გვთავაზობს: იონჯა. მკვლევრებმა განსაზღვრეს, რომ ეს საფურაჟე, ანუ საკვები მცენარე გადარჩება მარსის უხეშ ვულკანურ მიწაში, შემდეგ კი მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება, ისეთი საკვები მცენარეების სასუქად, როგორებიც არის თალგამი, ბოლოკი და სალათა.

„მარსის მიწის საკვები ნივთიერებების დაბალი შემცველობისა და წყლის ძლიერი მარილიანობის გამო, ისინი გამოუსადეგარია საკვები მცენარეების პირდაპირი მოშენება-გამრავლებისთვის. შესაბამისად, გადამწყვეტია ისეთი სტრატეგიების შექმნა, რათა მარსის მიწაში გაიზარდოს საკვებ ნივთიერებათა შემცველობა მოხდეს მლაშე წყლის გამტკნარება გრძელვადიანი მისიებისთვის“, — წერენ მკვლევრები პუბლიკაციაში.

წინა კვლევები მიუთითებს, რომ მარსის ზედაპირზე მცენარეებს ზრდა რეალურად გაუჭირდებათ მიწაში საკვებ ნივთიერებათა მიწოდების გარეშე. სწორედ აქ უნდა ჩაერთოს საქმეში იონჯა. მარსის რეგოლითის ზუსტი ანალოგის მიღება რთულია, მაგრამ მკვლევრებმა ის რაც შეეძლოთ ისე დაამთხვიეს, შემდეგ კი მასში სხვადასხვა თესლი გატესტეს.

გაირკვა, რომ იონჯა მასში ისეთივე ჯანმრთელი გაიზარდა, როგორც დედამიწაზე, ყოველგვარი სასუქის დამატების გარეშე. შემდეგ გატესტეს მარსის სიმულირებული რეგოლითი, რომელსაც სასუქის სახით იონჯა დაუმატეს. აღმოჩნდა, რომ მასში წარმატებით გაიზარდა თალგამი, ბოლოკი და სალათა — სამი მცენარე, რომლებიც მოითხოვს ნაკლებ მოვლას, წყალს და იზრდება სწრაფად.

თუმცა, არის ერთი მომენტი: საჭირო იყო მტკნარი წყალი. დამატებით ექსპერიმენტებზე დაყრდნობით, ჯგუფი ფიქრობს, რომ მარსზე ხელმისაწვდომი მარილიანი წყალი შეიძლება დამუშავდეს გარკვეული ტიპის წყლის ბაქტერიით, შემდეგ კი გაიფილტროს ვულკანური ქანებით და საბოლოოდ მივიღოთ მცენარეების ზრდისთვის საჭირო მტკნარი წყალი.

„პირველად ისტორიაში, ვიუწყებით ბიოსასუქისა და მიკრობის ინტეგრირებულ გამოყენებას მარსის ბაზალტური რეგოლითისა და მლაშე წყლის სიმულანტების ეფექტიანად დამუშავებაში, რაც მცენარის ზრდისთვის შესაფერისი რესურსები აღმოჩნდა“, — წერენ მკვლევრები. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი კითხვა რჩება პასუხგაუცემელი. თუნდაც ის, რამდენად ზუსტად მოხდა მარსის მიწის მიბაძვა აქ, დედამიწაზე. შესაძლებელია, რომ როდესაც ამის გაკეთება ოდესმე მარსზეც დაგვჭირდება, ზედაპირის რეგოლითი ზუსტად არ დაემთხვეს იმას, რასაც ველოდით.

სიმულირებულ მიწას ასევე აკლდა ზოგიერთი ტოქსიკური პრეექლორატი მარილი, რომლის გამორეცხვაც მარსის ნიადაგიდან მტკნარი წყლით არის საჭირო. თუმცა, ამ ექსპერიმენტის შედეგები მეცნიერებს და ასტრონავტებს კვლევისთვის უფრო იმედის მომცემ ვარიანტებს სთავაზობს. მკვლევართა მიერ აღწერილი მიდგომები პრაქტიკაში განსახორციელებლად მარტივი და ეფექტიანია. მარსზე სასუქად იონჯის მოყვანა გაცილებით იაფი დაჯდება, ვიდრე საკვებისთვის უამრავი მაცივრის წაღება მილიონობით კილომეტრის მანძილზე. კვლევა PLOS One-ში გამოქვეყნდა.

მომზადებულია ScienceAlert-ის მიხედვით.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

იმპერატორის გული 200 წლის შემდეგ სამშობლოს ესტუმრა

ბრაზილიის პირველი იმპერატორის, პედრო I-ის ბალზამირებული გული პორტუგალიიდან ჩაიტანეს ბრაზილიის დამოუკიდებლობის 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით. სადღესასწაულო დღეების დასრულების შემდეგ, გულს კვლავ პორტუგალიაში, საპორტო ქალაქ პორტოში დააბრუნებენ.

გული, რომელიც ფორმალდეჰიდით სავსე კოლბაში ინახება, ბრაზილიაში სამხედრო თვითმფრინავით ჩაიტანეს. მას თან ახლდა პორტოს მერი, რუი მორეირა.

ბალზამირებულ ორგანოს ბრაზილიაში სამხედრო პატივით დახვდებიან, მიაგებენ პატივს საზეიმო საარტილერიო ზალპებით, შესრულდება ეროვნული და დამოუკიდებლობის ჰიმნები, რის შემდეგაც ბრაზილიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში გამოფენენ.

იმპერატორი პედრო 1789 წელს პორტუგალიის სამეფო ოჯახში დაიბადა. იმ დროისთვის, ბრაზილია პორტუგალიის უდიდესი კოლონია იყო. პორტუგალიაში ნაპოლეონ პირველის არმიის შეჭრის შემდეგ, სამეფო ოჯახმა ბრაზილიას შეაფარა თავი.

როდესაც პედროს მამა, მეფე ჟუან VI 1821 წელს დაბრუნდა პორტუგალიაში, თავისი 21 წლის ვაჟი რეგენტად, ბრაზილიის სამართავად დატოვა.

ერთი წლის შემდეგ, ახალგაზრდა რეგენტი დაუპირისპირდა პორტუგალიის პარლამენტს, რომელსაც სურდა ბრაზილიის კოლონიად შენარჩუნება და უარყო მისი მოთხოვნა სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

1822 წლის 7 სექტემბერს მან გამოსცა ბრაზილიის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და მალევე აკურთხეს იმპერატორად.

მოგვიანებით, ის დაბრუნდა პორტუგალიაში, რათა თავის ქალიშვილს დახმარებოდა სამეფო ტახტისთვის ბრძოლაში.

1834 წელს, ბრაზილიის პირველი იმპერატორი პედრო I პორტუგალიაში ტუბერკულოზით გარდაიცვალა. ის 35 წლის იყო.

გარდაცვალებამდე იმპერატორმა ითხოვა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ, გული გამოეყოთ სხეულიდან და პორტოში, ლაპას ღვთისმშობლის ეკლესიაში გადაეტანათ. დღეს ის ამ ეკლესიის საკურთხეველში ინახება.

პედრო პირველის ცხედარი ბრაზილიაში გადაასვენეს 1972 წელს, ქვეყნის დამოუკიდებლობის 150 წლის იუბილისადმი დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში. ის დაკრძალულია სან პაულოში მდებარე საძვალეში.

პრემიერმა ნარკომანი არ ვარო

ნარკოტესტმა, რომელიც ფინეთის პრემიერ-მინისტრმა, სანა მარინმა გაიარა, უარყოფითი შედეგი აჩვენა. 19 აგვისტოს, ფინეთის პრემიერ-მინისტრმა, სანა მარინმა განაცხადა, რომ ნარკოტესტი გაიარა მას შემდეგ, რაც მიმდინარე კვირაში ვიდეო გამოქვეყნდა, რომელშიც ის კერძო სახლში გამართულ წვეულებაზე ცეკვავს.

აღსანიშნავია, რომ გავრცელებულ ვიდეოში ისმის საუბარი, სადაც სავარაუდოდ ნახსენებია კოკაინი. **„ბოლო დღეებში საკმაოდ მძიმე საჯარო ბრალდებები გავრცელდა, რომ მე ვიყავი ისეთ სივრცეში, სადაც ნარკოტიკებს იყენებდნენ, ან მე თვითონ ვიყენებდი ნარკოტიკებს. მიმაჩნია ეს ბრალდებები ძალზე სერიოზულად და, მართალია, ნარკოტესტის მოთხოვნა უსამართლოდ მიმაჩნია, ჩემი სამართლებრივი დაცვისა და ყოველგვარი ეჭვის გასარკვევად, დღეს გავიარე ნარკოლოგიური ტესტი, რომლის შედეგებიც ცნობილი იქნება დაახლოებით ერთ კვირაში“,** — აღნიშნა ფინეთის პრემიერმა.

ჯენიფერ ლოპესმა და ბენ აფლეკმა მეორე ქორწილი გადაიხადეს

მოდელერალმა ჯენიფერ ლოპესმა და მსახიობმა ბენ აფლეკმა ქორწინების კიდევ ერთი ცერემონია გამართეს. ცერემონია ჯორჯიაში, აფლეკის მამულში გაიმართა. მას არაერთი ვარსკვლავი დაესწრო. მათ შორის ჯორჯ კლუნი, მეტ დემონი, რენე ზელვეგერი, ჯიმი კიმელი, კევინ სმიტი და სხვები.

პატარძალს რალფ ლორენის კაბა ეცვა, 6-მეტრიანი ფატით, მასთან გამკლავებაში ლოპესს მისი და აფლეკის შვილები ეხმარებოდნენ. ჯენიფერ ლოპესი და ბენ აფლეკი 16 ივლისს, ლას-ვეგასში დაქორწინდნენ, მაშინ ღონისძიებას მხოლოდ მათი შვილები დაესწრნენ. ლოპესი და აფლეკი ერთმანეთს 2000-იანი წლების დასაწყისში ხვდებოდნენ, თუმცა 2004 წელს, დაგეგმილ ქორწილამდე ცოტა ხნით ადრე ერთმანეთს დაშორდნენ. წყვილმა ურთიერთობა 2022 წლის აპრილში განაახლა. ლოპესისთვის ეს მეოთხე, აფლეკისთვის კი მეორე ქორწინებაა. ჯენიფერს ორი შვილი ჰყავს მომღერალ მარკ ენტონისგან, ბენს კი 3 შვილი მსახიობ ჯენიფერ გარნერთან.

ქანდაკება იანძის ფსკერზე

ჩინეთში, მდინარე იანძიში წყლის დონის დაწევის შედეგად ჩაძირული კუნძული გამოჩნდა, რომელზეც 3 ბუდისტური ქანდაკება აღმოაჩინეს.

შემთხვევა ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით, ქალაქ ჩონქინში მოხდა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ქანდაკებები 600 წლისა და ისინი მინისა და ქინის დინასტიის მმართველობის დროს შეიქმნა. იანძის წყლის დონემ ჩინეთში გვალვისა და სიცხის გამო იკლო. ივლისის შემდეგ იანძის აუზში ნალექის დონე ნორმაზე 45%-ით დაბალია.



ჩინეთში შობადობა მცირდება

კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ჩინეთში ქორწინებისა და შობადობის მაჩვენებლები შემცირდა, რაც ბოლო წლებში ბავშვთა განათლებისა და მოვლის ხარჯის გაზრდას უკავშირდება.

„კორონავირუსმა აშკარა გავლენა იქონია ზოგიერთი ადამიანის ქორწინებასა და მშობიარობაზე“, — აცხადებენ დემოგრაფები და დასძენენ, რომ ამ წელს ჩინეთში ახალშობილთა რიცხვი რეკორდულ ნიშნულამდე, 10 მილიონზე დაბლა დაეცემა (გასულ წელს 10,6 მილიონი ბავშვი დაიბადა). შობადობის მკვეთრ ვარდნასთან დაკავშირებული პრობლემის დასაძლევად, ჩინეთის ხელისუფლებამ გასული წლის განმავლობაში შემოიღო ისეთი ზომები, როგორებიცაა საგადასახადო შეღავათები, ხანგრძლივი დეკრეტული შვებულება, გაძლიერებული სამედიცინო დაზღვევა, საბინაო სუბსიდიები და დამატებითი ფინანსური დახმარება მესამე ბავშვის გაჩენისთვის.

◎ ტრიუმფი

პოლონურ ფიცარნაგზე

ჟაბუკ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატს პოლონურმა ქალაქმა რაშინმა უმასპინძლა, თუმცა ფიცარნაგის ბატონ-პატრონი საქართველოს ნაკრები გახდა (მწვრთნელები ზურაბ ანთაური, თემურ ჯანჯღავა, ბეჟან ჟიჟინავა, დავით ხარატიშვილი, ფიზიოთერაპევტი რუსლან ლიბრაძე).

თავად განსაჯეთ – ჩვენი გუნდი სამშობლოში 37(!) მედლით დაბრუნდა (15 ოქრო, 13 ვერცხლი, 9 ბრინჯაო), ანუ მისი 13-ვე წევრი ჩემპიონი ან პრიზიორი გახდა, თანაც თანატოლთა შორის 15 ეროვნული რეკორდი დაამყარეს. კონტინენტური ფორუმის ლაურეატები გახდნენ.

15-წლამდელები

ირაკლი ვეკუა (+102 კგ) – 3 ოქრო, დიმიტრი აბრალავა (55 კგ) – 2 ოქრო, 1 ბრინჯაო, გივი დარსაველიძე (102 კგ) – 3 ვერცხლი, გიორგი აბულაძე (96 კგ) – 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო, ლერი ნეფარიძე (61 კგ) – 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო, რევაზ მილდიანი (67 კგ) – 1 ბრინჯაო.

17-წლამდელები

ნიკოლოზ ესართია (81 კგ) – 3 ოქრო, გერვასი თაბაგარი (96 კგ) – 3 ოქრო, ლევან ოჩიგავა (73 კგ) – 2 ოქრო, 1 ვერცხლი, მარიამ მურღვლიანი (76 კგ) – 2 ოქრო, 1 ვერცხლი, საბა ადამია (96 კგ) – 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო, მარიამ მაისურაძე (49 კგ) – 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო, გიგა ოდიკაძე (55 კგ) – 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო.

◎ ფორუმის წინ

დეიანის რჩეულნი

საძართველოს წყალბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა მონტენეგროში.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დეიან სტანოიევიჩმა** არჩევანი შემდეგ მოთამაშეებზე შეაჩერა: ირაკლი რაზმაძე, ნიკოლოზ შუბლაძე, ვალიკო დადვანი, ხვიჩა ჯახაია, ნიკა ტყეშელაშვილი, მარკო ელაჩა, ფაბიო ბარალდი, ანდრია ბითაძე, სანდრო ადეიშვილი, ბორის ვაპენსკი, ნიკოლოზ შუშიაშვილი, რეზი იმნაიშვიოლი, ივან სარიჩი, გიორგი მაგრაქველიძე, დუშან ვასიჩი.

„ჯვაროსნები“ A ჯგუფში იასპარეზებენ, სადაც მასპინძლებს (29 აგვისტო). იტალიასა (31 აგვისტო) და სლოვაკეთს (2 სექტემბერი) შეხვდებიან. ჯუფიდან საუკეთესო გუნდი პირდაპირ მეოთხედფინალში გავა, ხოლო მეორე და მესამეადგილოსნები მეოთხედფინალში მოსახვედრად პლეი-ოფში იბრძოლებენ.

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ისტორიაში მეხუთედ ითამაშებს, საუკეთესო შედეგი კი 2020 წელს აჩვენა, როცა მე-10 ადგილი დაიკავა. მანამდე იყო მე-12 პოზიცია (2014 წელს), მე-13 ადგილი (2016 წელს) და მე-14 საფეხური (2018 წელს). გავიხსენოთ, რომ ორი თვის წინათ საქართველომ პირველად იასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონატზე და მე-10 პოზიცია ერგო.

◎ ცხადია თუ სიზმარი?

სცენაზეა „კვარასტელა“

ასეთი დებიუტი „სერია – ა“-ში მარადონასაც არ ჰქონიაო – უკვე გაისმის ეთერში. ჩვენ ხომ მაქსიმალისტები ვართ!

მართლაც, „ნაპოლიმ გენიალური არგენტინელის მონაწილეობით გამართული პირველი შეხვედრა ვერონაში წააგო, სადაც მაშინ ელკიაერი და ბრიგელი ბრწყინავდნენ, თუმცა **ხვიჩა კვარაცხელიას** ზღაპრულად დაწყებული იტალიური კარიერის შედარებაც კი მისი სახელოვანი წინამორბედის თუნდაც წარუმატებელ ეპიზოდთან ქართული ფეხბურთის იმედისთვის უკვე უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. თან როგორი ბურთები გაიტანა!

მეორე მატჩის წინ ლუჩანო სპალეტის გუნდი ერთბაშად სამი შემტევით გაძლიერდა, მაგრამ კონკურენტების მომრავლებამ ჩვენს თანამემამულეზე დადებითად იმოქმედა და აპენინებზე შესრულებული პირველი დუბლით ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა – 3 გოლი.

ისიც სათქმელია, რომ პარტნიორები ხვიჩას ხშირად არ ამარაგებენ პასებით, რაც, ალბათ, შეუთამაშებლობის ბრალია, მაგრამ თვით მისი მწვავე გადაცემა ოსიმენმა არაზუსტი დარტყმით დაასრულა.

შეიძლება ვინმემ მეტოქეთა სისუსტეს გაუსვა ხაზი – რა მბავი ატეხეთო, მაგრამ აღნიშნული არგუმენტი ნამდვილად არ მიგვაჩნია გასათვალისწინებლად, დიახ, იქ თითოეული ქათინაურის დამსახურებასა და ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოპოვებას ბრძოლა უნდა!

28 აგვისტოს „კვარადონა“ ფლორენციაში „ფიორენტინასთან“ ითამაშებს.

ხომ გაგიგონიათ – მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. ჰოდა, ნეაპოლელთა ახალ კერპს ღირსეულად აუბა მხარი „კრემონეზეს“ დებიუტანტმა მცველმა **ლუკა ლოჩოშვილმა.** მართალია, მისი მორიგი კლუბი მარადიულ ქალაქში კალჩოს ერთ-ერთ ფავორიტ „რომასთან“ 0:1 დამარცხდა, მაგრამ ლომბარდიელთა ქართველი უკანახაზელი საიმედოდ გამოიყურებოდა და რამდენჯერმე დიბალას, ძანიოლოსა და აბრაჰამის სახიფათო იერიშები ჩაშალა. 27 აგვისტოს „კრემონეზე“ „ტორინოს“ მიიღებს.

აღტაცება!

ხვიჩა კვარაცხელიამ სერია A-ში საოცრად დაიწყო და ორ ტურში სამი გოლი გაიტანა. „მონცასთან“ პირველ საშინაო თამაშში მან დუბლი გაიფორმა და ბომბარდირთა დავაში უკვე ლიდერია.

ქართველი ფეხბურთელის თამაშს წამყვანი იტალიური გამოცემები გამოეხმაურნენ:

„სამი გოლი სერია A-ს პირველ ორ თამაშში, დუბლი „მონცას“ დასამარცხებლად. ჯერ შედევრი ინსინიეს სტილში, შემდეგ ნაქარგი გოლი დრიბლინგით. ვინც ამ ორ ტურში „ნაპოლის“ თამაში ნახა, მიხვდა, რომ „აძურიში“ ფენომენი მოვიდა. ხვიჩა კვარაცხელია 21 წლის ქართველი ტალანტია და ყველა თვისება აქვს იმისთვის, რომ ტოპფეხბურთელი გახდეს. ის იყო სპალეტის პირველი ორი გამარჯვების შემოქმედი ამ სეზონში“, – წერს Corriera Dello Sport-ი.

„ქართველის წარმოუდგენელი სტარტი. სამი გოლი ორ თამაშში – თავით, მარჯვენა და მარცხენა ფეხებით. ნამდვილად სრულყოფილი მოთამაშეა“, – ეს უკვე Gazeta Dello Sport-ია.

„ნაპოლი“ ოცნებობს „მარადონას“ ახალი კერპისა და მატჩის ვარსკვლავის, კვარაცხელიას ჯადოქრობებით. ქართველის შესანიშნავი დუბლი, რომელმაც ახალი პუბლიკის წინაშე პირველივე მატჩში აჩვენა ხასიათი და ოსიმენთან ჩინებული ჰარმონია. სპალეტის შეუძლია გაილიმოს ორი ტურისა და ორი გამარჯვების შემდეგ, რადგან სკამზე ნდომბელე, რასპადორი და სიმეონეც ჰყავს“, – წერია Tuttosport-ის ვებგვერდზე.

„ის „სტადიო მარადონას“ ახალი კერპია და მასთან ერთად ყველა ოცნება ლეგიტიმურია“, – წერს Calciomercato.

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელიას სერია A-ს ორ ტურში 3 გოლი და 1 საგოლე პასი აქვს და ამ წუთისთვის ბომბარდირთა დავაში პირველ პოზიციაზეა. სხვათა შორის, 2010 წლიდან მოყოლებული ედინსონ კავანის, ხოსე კალეხონისა და ლორენცო ტონელის შემდეგ კვარაცხელია „ნაპოლის“ მეოთხე მოთამაშეა, რომელმაც სერია A-ს საწყის ორ თამაშში გაიტანა.

„ნაპოლის“ ორ ტურში 6 ქულა აქვს და „ინტერთან“ და „რომასთან“ ერთად ლიდერია.

* * *

„კრემონეზეს“ მთავარმა მწვრთნელმა **მასიმილიანო ალვინიმ** „რომასთან“ მატჩის (0:1) შემდეგ **ლუკა ლოჩოშვილზე** ისაუბრა და თქვა, რომ მისი თამაშით კმაყოფილია.

„კარგი ფეხბურთელია, რომელსაც ბაზარზე ვეძებდით და მისი დამატება გვინდოდა. მან „ოლიმპიკოზე“ დიბალას წინააღმდეგ ძალიან კარგად ითამაშა. ვარჯიშებზე დღითიდღე მომატება სჭირდება, მაგრამ მისით კმაყოფილი ვარ, ისევე, როგორც ყველა ფეხბურთელით, ვინც გუნდში მყავს“, – აღნიშნა ალვინიმ.

ლუკა ლოჩოშვილმა „რომას“ წინააღმდეგ 84-ე წუთამდე ითამაშა და თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

„კრემონეზეს“ ორ ტურში 0 ქულა აქვს, რადგან „რომამდე“ სტუმრად „ფიორენტინასთანაც“ ასევე დაძაბულ ბრძოლაში წააგო (2:3, ბოლო წუთზე).

◎ კალათბურთი

გუნდში მატებაა

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებს გოგა ბითაძე შეუერთდა. „ჯვაროსანთა“ ცენტრი ამერიკიდან დაბრუნდა, სადაც მუხლის ტრავმას მკურნალობდა.

ჯერჯერობით ოფიციალურად უცნობია, რამდენად არის გოგა სათამაშოდ მზად, მაგრამ რადგან გუნდს შეუერთდა, ეს ნიშნავს, რომ მისი გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიმდინარეობს.

ბითაძემ მოსამზადებელი ეტაპი მთლიანად გამოტოვა და ნაკრებს ვერცერთ შეხვედრაში ვერ დაეხმარა. დავძენთ, რომ მწყობრში ჩადგა **კახა ჯინჭარაძეც.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში დღეს 19 საათზე ნიდერლანდებს უმასპინძლებს, ხოლო 27 აგვისტოს, ბრეშაში, იტალიას ესტუმრება. ამის შემდეგ ევროპის ჩემპიონატი დაიწყება, რომლის ჯგუფური ეტაპის მატჩებს საქართველო 1-7 სექტემბერს თბილისში გამართავს.

◎ ბრძენთა თამაში

94 წლის ოთარ შონიას ნააზრევი

a b c d e f g h

შამათი 4 სვლაში

თრ. 1.მფ ბ8; 2.ცცf8,g4; 3.მმ f2,h7; 4.ჯჯ ბ3,ბ4,c4,d6,g2,g6.

შე. 1,მფ e6; 2.ლ a2; 3.ე g8; 4.ცცf4. h1; 5.მმ e8,f5 6.ჯჯ d4,e5,f7.

ამოხსნა

1.მf2-e4/მუქარა 2.მe4-c5×/

1....ჯf7:g6 2.მe4-c5+ მფ e6-f7

3.ჯ d6-d7 ლ a2:g2- თითქოს გარდუვალია თეთრი მეფის დამამათება, მაგრამ თეთრები მიგნებული ხერხით დაგებულ მახეში იტყუებენ, ბადეებენ მომანავდინებელ მესამე მხედარს, თამაშში აბამენ და აშამათებენ შავების მეფეს 4.ჯ d7-d8მ×. შავებს გამოერჩათ თეთრების ეს სვლა და დაისაჯნენ.

რუსეთი აფხაზეთის შთანთქმის გეგმას ახორციელებს...

(მესამე გვერდიდან)

თუმცა სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ აქ მხოლოდ პრეზიდენტი როდია დამნაშავე. იგივე ბჟანია სულ რაღაც ერთი წლის წინ სადავო პოლიტიკური საკითხების გვერდის ავლით თბილისთან დიალოგისა და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის დაწყების ინიციატივით გამოდიოდა. მეტიც, პირველად ბოლო 30 წლის განმავლობაში, ეს საკითხი აფხაზეთის საგარეო პოლიტიკურ კონცეფციაშიც აისახა. მაგრამ თბილისმა სოხუმს დუმილით უპასუხა, მოსკოვმა მალევე მიგვითითა „სწორი გზა“, აფხაზურმა რევანშისტულმა ოპოზიციამ კი ტრადიციულად, საკუთარი პოლიტიკური ინტერესები აფხაზი ხალხისაზე მაღლა დააყენა, ბჟანიას გუნდს ღალატში სრულიად პოპულისტური ბრალდებები წაუყენა და ამით საუკეთესოდ შეუწყო მოსკოვს ზეწოლაში ხელი. შედეგად ეს პუნქტი საგარეო პოლიტიკური კონცეფციიდან ამოიღეს, მასთან ერთად კი გაქრა აფხაზეთის უალტერნატივო შანსიც, „სტრატეგიულ მეგობარზე“ სრული დამოკიდებულებისგან გათავისუფლებულიყო.

გავიდა წელიწადი. და რა მივიღეთ? მოსკოვს, როგორც ჩანს, აფხაზეთის ნაკუწ-ნაკუწ შთანთქმა მოუბეზრდა და გადაწყვიტა, ერთიანად ჩაგვყლაპოს,

აფხაზი ხალხის მომავალთან ერთად. ასლან ბჟანიას გუნდი კი, როგორც ჩანს, აღარაფერზე იხევს უკან რუსეთის სურვილების აღსასრულებლად.

ამ დღეებში, ისევ და ისევ სიმონიანის „სპუტნიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ჩვენმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთსა და აფხაზეთს შორის სასაზღვრო პუნქტის არსებობას „არქაულად და ორი ქვეყნის ურთიერთობების თანამედროვეობისთვის შეუსაბამოდ“ მიიჩნევს. ამასთან, მისი აზრით, “მიმოსვლის გამარტივებას“ ორივე მხარე „თბილად მიიღებდა“. საიდან გამოაქვს ასლან ბჟანიას დასკვნა ამ იდეისადმი აფხაზური საზოგადოების „თბილი“ დამოკიდებულის შესახებ, გაუგებარია.

„ჩვენ სუვერენული სახელმწიფო ვართ და ბუნებრივია, საზღვარი არ უნდა წაიშალოს. იგი უნდა არსებობდეს, იგრძნობოდეს, ვიცოდეთ, სად მთავრდება ჩვენი და იწყება მეზობელი სახელმწიფო“ — ამბობენ აფხაზი იურისტები. სახელმწიფო საზღვრის გაუქმების ინიციატივისადმი „თბილ“ დამოკიდებულებას ვერც სოცქსელების აფხაზურ სეგმენტში წააწყდებით, თუ არ ჩავთვლით სამთავრობო ტროლების კომენტარებს.

დიახ, ევროპაში, მაგალითად, არსებობენ სახელმწიფოები, რომელთა შორის საზღვარს მხოლოდ ფორმალური — ასფალტზე გავლებული ხაზის სახე აქვს. მაგრამ ამ სახელმწიფოთაგან არც ერთი არაა რუსეთი, რომლის პრეზიდენტს უკვე საჯაროდ აქვს გაცხადებული „დიადი იმპერიის აღსადგენად რუსული მიწების შეგროვების“ გეგმა. და არათუ გაცხადებული აქვს, უკვე სიტყვიდან საქმეზეც გადავიდა, დაიწყო რა უკრაინით. ხოლო როგორც 4 აგვისტოს სკანდალურ პუბლიკაციაში რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს დიმიტრი მედვედევს წამოსცდა, პუტინის იმპერიალისტურ სიაში, მათ შორის, აფხაზეთიც ფიგურირებს.

ასე, რომ რბილად რომ ვთქვათ, უცნაურ საკითხში განიზრახა ასლან ბჟანიამ ევროპის დაწევა და გადასწრება — არა გარდაქმნებში, რეფორმებში, კანონმდებლობის დახვეწაში, კორუფციასთან ბრძოლასა და ყველაფერ დანარჩენში, რაც აფხაზეთს ფეხზე წამოდგომაში, რუსეთზე ფინანსური დამოკიდებულებისგან გათავისუფლებასა და დამოუკიდებელი განვითარების დაწყებაში დაეხმარებოდა, არამედ სახელმწიფო საზღვრის ლიკვიდაციაში მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს და ყველაზე აგრესიულ ქვეყანასთან, რომელიც აღარც მალავს აფხაზეთის შთანთქმის გეგმას.

ინალ არისთავა

ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში გამოიყენება

არდავიწყება

დროსთან ბრძოლაში გამოწრთობილი

40 დღე გავიდა შალვა ნაჭყებიას გარდაცვალებიდან. ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ მან ღრმა კვალი, ცხოვრების წესის მისეული ხელწერა, ზნეობრიობის სანიმუშო მაგალითი დატოვა მისთვის განკუთვნილ დროში. აღიზარდა კოლხეთში, აღიარებულ ოჯახში. წარჩინებული, აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული მოსწავლე, გამორჩეული სტუდენტი, ასპირანტი, მეცნიერების კანდიდატი, დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული ფლაგმანის — ტექნიკური უნივერსიტეტის (საყოველთაოდ ცნობილი „გეპეის“) საკვანძო მიმართულებების ხელმძღვანელი, ქვეყნის აღმშენებლობაში წარმატებული მოღვაწე, — ასეთია შალვა ნაჭყებიას ბიოგრაფიის ზოგადი შტრიხები. თუმცა ეს არ არის საკმარისი მისი პიროვნების — ფენომენის სრულად წარმოდგენისათვის. იგი უფრო დიდი, ღრმა („ტომბა“) კაცი იყო, ვიდრე გარედან ჩანდა. უფრო მეტიც. მისი ერთ-ერთი თვისება-ღირსება, რომელიც საზოგადოების პატივისცემას იწვევდა, გახლდათ დროის გამოწვევებთან ბრძოლის მისეული სულისკვეთება. იგი გამოწვევებს მყისიერად იღებდა, დროში არ ჩარჩენილა. უფრო მეტიც. ორ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ პოლიტიკურ ეპოქაში იცხოვრა და ჭეშმარიტ მამულიშვილად აღიარა საზოგადოებამ. ეს ნიშნავს იმას, რომ წარსულის, დღევანდელობისა და მომავლის გამამთლიანებლის მაგალითი ყოფილიყო. ჩემი აზრით, ესაა მამულიშვილობის, როგორც ფენომენის შეფასების კრიტერიუმი. ეს დადასტურდა .გასვენების დღესაც. ზღვა ხალხმა, საზოგადოების ყველა თაობის ღირსეულმა წარმომადგენლობამ ცრემლებით გააცილა უკანასკნელ გზაზე.

დარწმუნებული ვართ, რომ შალვა ნაჭყებიასნაირი მამულიშვილები ქვეყანას აღმავლობის დიდ გზაზე გაიყვანენ.

ნოდარ ჭითანავა

მაღალი ტემპერატურა და ქარი:

როგორ უნდა მოიქცეთ შესაძლო გართულებების თავიდან ასაცილებლად?!

მომდევნო დღეების განმავლობაში, მთელი საქართველოს მასშტაბით, მომატებული ტემპერატურა შენარჩუნდება. სინოპტიკოსები უახლოეს დღეებში ძლიერ ქარსაც ელოდებიან, რაც ტყის ხანძრების გაჩენის ხელშემწყობ ფაქტორებს შექმნის.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, შესაძლო გართულებების თავიდან ასაცილებლად, საზოგადოებას მოუწოდებს, მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა გამოიჩინოს, არ დაანთოს ცეცხლი სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე, ტყის ან ველის სიახლოვეს და არ დატოვონ ცეცხლის კერები უყურადღებოდ.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თვითაალება შეუძლიათ. დაკვამლიანების ან ცეცხლის შემჩნევის შემთხვევაში, მოქალაქემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ს.

რაც შეეხება ამინდს, აღმოსავლეთ საქართველოში უახლოეს დღეებში უმეტესად უნალექო ამინდი და აღმოსავლეთის ქარის გაძლიერებაა მოსალოდნელი. ქარის სიჩქარე 20-25 მ/წმ-ს მიაღწევს. მაღალი ტემპერატურაა მოსალოდნელია დასავლეთ საქართველოში.

22-23 აგვისტოს +39 გრადუსამდე დაცხება, 24 აგვისტოს კი ჰაერის ტემპერატურა +40 გრადუსსაც მიაღწევს. ამასთან, მოსალოდნელია აღმოსავლეთის ძლიერი ქარი.

საგამოძიებო სამსახურმა სისხლისსამართლებრივი დევნა ორი პირის მიმართ დაიწყო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლებისა და სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა ორი პირის მიმართ დაიწყეს, რომელთაგან ერთი ყოფილი მოხელეა, — ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, 2021 წელს, მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შედეგად, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, მოტყუებით დაირეგისტრირა 15 360 მ² მოცულობის 2 მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო საბაზრო ღირებულება შეადგენს 828 960 ლარს. მიმდინარეობს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების მიზნით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აქტიური საზოგადო მოღვაწე და ღვაწლმოსილი მამულიშვილი, აფხაზეთის სოციალური უზრუნველყოფის ყოფილი მინისტრი, აფხაზეთის გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე, აფხაზეთის საზოგადოებრივი დარბაზის ხელმძღვანელი, არაერთი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი, აფხაზეთის ომის ვეტერანი

შალვა წულეისკირი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ზურაბ ცქიტიშვილი, თენგიზ ქავთარაძე, გრიგოლ ონიანი, დავით სალარიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

თემურ შოთას ძე გელოვანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთ ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 104 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

25 წლის ანა ალასანია ფრანგული ღვინის ზედამხედველია

სულ ახლახან ახალგაზრდა ქართველ გოგონას, ანა ალასანიას მსოფლიოს ღვინის კულტურით განთქმულ, ქალაქ ბორდოში ორი პატარა ღვინის ქარხნის ზედამხედველობა მიანდეს.

ქარხნები, რომელშიც ჩვენებურმა ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყო, ეკუთვნის კომპანია Vignoble K-ის და წელიწადში დაახლოებით 37 500 ბოთლ ღვინოს აწარმოებს. **„ვაწარმოებთ წითელ მშრალ ღვინოს მერლოსა და კაბერნე ფრანის „ასამბლიაჟით“. ორი ქარხანა უშვებს ოთხი დასახელების ღვინოს, რომლიდანაც სამი ეკუთვნის პომეროლის რეგიონს, მეოთხე კი სანტ-ემილიონის,** – ამბობს ზედამხედველი.

ანა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მეღვინეობა-მევენახეობის ფაკულტეტზე სწავლობდა. პირველი სამსახურიც ჩვენს ქვეყანაში დაიწყო, ერთ-ერთ ღვინის მაღაზიაში, სადაც ღვინის კონსულტანტად და მიმტანად მუშაობდა. სწორედ აქ მიიღო თავდაპირველი გამოცდილება და საკმაოდ კარგად გაეცნო როგორც ქართულ, ისე მსოფლიო ღვინის კულტურას. სამი წლის წინ ანამ, მეღვინეობა-მევენახეობის განხრით ბორდოში მაგისტრატურის კურსი გაიარა. სწავლის ბოლო წელს სამაგისტრო ნაშრომისთვის სტაჟირება შატო Pichon Longueville Comtesse de Lalande-ში (ბორდოს რეგიონში კერძოდ მედოკის ოლქში) გაიარა, სადაც სტაჟირების და დიპლომის აღების შემდეგ ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, ახლა კი ახალგაზრდა, ქართველი გოგონა Vignoble K-ის ორ პატარა ღვინის ქარხანაში, უვადო კონტრაქტით იმოღვაწეოებს. წარმატებები ვუსურვოთ ანას, რომლის სამომავლო გეგმები, რა თქმა უნდა, საქართველოს უკავშირდება.

არ მოტყუვდეთ, ახალი ონლაინ აფიორაა!

როგორც ირკვევა, ჩვენს ქვეყანაში ფულის გამოძალვის ახალი სქემა მუშაობს. თუ ინტერნეტით რაიმეს ყიდვა ან გაყიდვა გსურთ, დიდი ყურადღება დაგჭირდებათ, რომ არ მოტყუვდეთ. ერთ-ერთს, ყიდვა-გაყიდვის გვერდზე გავრცელებულ განცხადებებს, როგორც ჩანს უკრაინელი ჰაკერები სათავისოდ კარგად იყენებენ. რუსული ტექსტით გიკავშირდებიან, ვითომ პროდუქციის ყიდვა სურთ და ისეთ დეტალებს კითხულობენ, რომ ეჭვიც არ შეგეპარებათ მათ განზრახვაში.

ამის მერე გეუბნებიან, რომ გააფორმებენ ხელშეკრულებას და კურიერს გამოგიგზავნიან. ანგარიშის ნომრის გარდა, საკურიერო მომსახურებისას გიგზავნიან ბმულს, თითქოსდა იქ გადმორიცხეს ეს თანხა, სწორედ ეს ბმული არ უნდა გავხსნათ, რადგან იქ გვთხოვენ, რომ უნდა შევიყვანოთ ბარათის ნომერი, რისი საშუალებითაც ისინი ახერხებენ ანგარიშიდან ფულის მოხსნან.

მე პირადად გავხდი მსგავსი აფიორის მსხვერპლი და ახლა აღმოჩნდა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებს. უკვე არაერთმა დაზარალებულმა მიმართა მსგავსი ინფორმაციით და საქმეც აღძრულია. თუმცა მსგავსი ინტერნეტ-კრიმინალის გამოძიება საკმაოდ რთულია. ამიტომაც გაფრთხილდით, თუ ვინმე რუსული ტექსტით თავს შეგაცოდებთ, როგორც უკრაინელი, არ ენდოთ, სავარაუდოდ, ჩემსავით მოტყუებული დარჩებით.

ჰოლივუდის ვარსკვლავები აქტუალობას კარგავენ

მიუხედავად **იმისა, რომ ვარსკვლავური წყვილი ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი 2016- წელს დაშორდნენ, მათი განქორწინების ამბავი დღემდე საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. მედიაში გავრცელდა ფოტოები, რომელიც ანჯელინამ FBI-ს გადასცა, საიდანაც ირკვევა, რომ ბრედი, ლამაზმან ცოლზე ფიზიკურად ძალადობდა.**

ეს დაზიანებები, როგორც ჩანს 2016 წლის ნამოქმედარია.!ანჯელინამ გამოძიებას უთხრა, რომ კერძო თვითმფრინავის საპირფარეშოში ბრედი მას უყვიროდა, თმაში სწვდა, ანჯღრევდა და ბოლოს კედელს მიანარცხა. ჯოლის ჩვენებიდან ირკვევა, რომ ბრედი მეუღლეს ეჩხუბებოდა, რომ „ის იყო ოჯახის დანგრევის მიზეზი“. ანჯელინა იმასაც აცხადებს, რომ ამ დროს მათი ორი მცირეწლოვანი შვილი კართან იდგნენ და ტიროდნენ. ისეთი პირი უჩანს, რომ ჩვენში ბასილაშვილი-დოროყაშვილის განქორწინება და მსოფლიოში პიტისა და ჯოლის დაშორება, კიდევ დიდხანს იქნება აქტუალური...

ქართველი კასკადიორი საუკეთესოა

ქართველი მოცეკვავე და მსახიობი ლაშა მძინარაშვილი ჰოლივუდში „ტაურუსის“ მსოფლიო კასკადიორთა დაჯილდოებაზე საუკეთესო ბრძოლის სცენის კატეგორიაშია ნომინირებული.

საუბარია რეჟისორ მეთიუ ვონის ფილმზე The King's Man, რომლის მთავარ საბრძოლო სცენაში მძინარაშვილმა ქართული ცეკვის ელემენტები გამოიყენა. გამარჯვებულები 17 სექტემბერს დასახელდებიან. სხვადასხვა კატეგორიაში ასევე წარდგენილია ფილმი „ფორსაჟი 9“, რომლის ნაწილიც საქართველოშია გადაღებულ. აშშ-ის საელჩომ, რომელიც ქართული კინოს ინდუსტრიას მხარს უჭერს USAID-ის ინიციატივებით, გაცვლითი პროგრამებითა და კულტურული გრანტებით, მძინარაშვილს წარმატებები უსურვა.

იყიდეთ, ოღონდ არ დალიოთ!!!

იტალიელი მეღვინე ტულიო მასონი მყიდველებს მოუწოდებს მის მიერ წარმოებული ღვინო არ დალიონ.

მასონი ღვინოს ქალაქ რეჯო ემილიაში აწარმოებს. მას პატარა ვენახი მე-16 საუკუნის პალაცოს სახურავზე აქვს გაშენებული. ღვინოს პალაცოს მისამართის სახელი აქვს – Via Mari10, ერთი ბოთლის ფასი კი 5 ათასი დოლარია.

„მამაჩემი იყო მეღვინეობით დაკავებული. რეჯო ემილიასთან ნამდვილი ვენახი დამიტოვა მემკვიდრეობით, მაგრამ მივხვდი, რომ მასზე იმაზე მეტ ფულს ვხარჯავდი, ვიდრე ვიღებდი, ამიტომ გავყიდე. თუმცა 20 წლის შემდეგ ვინანე და ჩემთვის ჯიბის ვენახი გავაშენე“, – განაცხადა მასონიმ.

ყოველწლიურად ის მხოლოდ 29 ბოთლ წითელ ღვინოს აწარმოებს. ბოთლები არა ღვინის მაღაზიაში, არამედ ხელოვნების გალერეაში იყიდება, რადგან მასონი თავის ღვინოს ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევს. კავშირი ღვინოსა და ხელოვნებას შორის ყურძნით იწყება, რადგან ვაზი მოქანდაკე ოსკარ აკორსის მიერ შექმნილ გისოსებზე იზრდება, მისგან დამზადებული ღვინო კი კიდევ ერთი მოქანდაკის, ლორენცო მენოზის მიერ შექმნილ კასრებში ინახება. ბოთლების ეტიკეტის ავტორი კი Marvel-ის კომიქსების მხატვარი ჯუზეპე კამუნკოლია.

სწორედ ამიტომ მასონი მყიდველებს მოუწოდებს, ბოთლები არ გახსნან. **„ღვინის ერთადერთი მწარმოებელი ვარ მსოფლიოში, რომელიც ამბობს, რომ მისი ღვინო არ უნდა დალიოთ“,** – ამბობს მასონი.

პოლიტიკური სიშიშვლე...

გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როდესაც ქალები, რომლებმაც მასთან ფოტოს გადაღება მოისურვეს, მოულოდნელად გაშიშვლდნენ. ქალებს სხეულზე ეწერათ საპროტესტო სლოგანი, რომლითაც რუსულ გაზზე ემბარგოს დაუყოვნებლივ დაწესებას ითხოვდნენ. რუსეთის ენერგორესურსებზე ემბარგოს დაწესება ერთ-ერთია იმ საკითხებს შორის, რის გამოც გერმანიის მთავრობას აკრიტიკებენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟანჟავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იგეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გალდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 26 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7896; ევრო - 2.7910
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2923;
100 რუბლი - 4.6768; თურქული ლირა - 0.1541;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6409;
1000 სომხური დრამი - 6.8893.

ამინდი 24 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+15,	დღე +34
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე +33
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+22,	დღე +40
მთიანი რაიონები -	ღამე	+18	დღე +37
თბილისი:	ღამე	+18,	დღე +34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge